№ 2884
ხუთშაბათი,
11 აგვისტო.

# ცნობის ფურცელი

№ 2884
ხუთშაბათი,
11 აგვისტო.

**ხელის-მოწერის ფასი:** ერთ წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°მ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური **გაზეთი „ცნობის ფურცელი"** ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფული გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

**როცა** ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

**ცალკე ნომერი** გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ესტატე და გრიგოლ კონსტანტინეს ძენი შატბერაშვილები, ეფემია კონსტანტინეს ასული ფურცელაძისა, მართა გიორგის ასული ქუთათელაძისა და დარია გიორგის ასული ნებაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მობძანდნენ ორმოცი დღის წირვასა და პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნება ქ. გორის სობოროში 13 აგვისტოს აწ გარდაცვალებულის

**ევფროსინე კონსტანტინეს ასული შატბერაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2—312—1)

## სავაჟო პროგიმნაზია ავლაბარში

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან ავლაბარში გაიხსნება სავაჟო პროგიმნაზია; ამ ჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ამ თვის 11 რიცხვიდან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 11—1 საათამდე ავლაბარში, ბეგლიაროვის ქუჩაზე, ადამურადოვის სახლში, საქალაქო სკოლაში. სწავლის დაწყების დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—6.—1)

იშვიათი ვაჭრობა

**„ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის"**

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

**100,000 მანეთისა.**

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

**საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უთუოდ კონკურენციის გარეშეა.**

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

**ფასები შეუვაჭრებლად.**

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—79)

### ქუთაისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებელი

აცხადებს:

1) შემდეგ კლასებში გადასასვლელი გამოცდა I—VI კლასების იმ მოწაფეებისთვის, რომელთაც გამოაცხადეს სურვილი აგვისტოში ეგზამენის დაჭერისა, დანიშნულია 22 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე.

2) მე-VII კლასის ყოფილ მოწაფეებისთვის, რომელთაც შემოიტანეს თხოვნა აგვისტოში ეგზამენის დაჭერის შესახებ, უკანასკნელი გამოცდა დანიშნულია 23 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

3) ხელმეორედ გამოცდა და ცოდნის შემოწმება (повѣрочныя испытанія) ყველა კლასების მოწაფეებისთვის დანიშნულია 6, 7 და 9 სექტემბერს.

4) მისაღები ეგზამენები დაბალ მოსამზადებელ კლასში და I კლასში, უკეთუ აღმოჩნდებიან მსურველნი სხვა კლასებშიაც, დანიშნულია 10, 12 და 13 სექტემბერს.

5) სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს დილის 8 საათზედ.

ეგზამენების სრული ცხრილი მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის კანცელარიაში 18 აგვისტოდან. (3—6.—3).

ქუთაისის სახელმწიფო საქალებო პროგიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ და და მეორე და ახლად გახსნილ III კლასებში მოხდება 24, 25 26 და 27 მარიობისთვეს. განმეორებითი ეგზამენები-კი დაიწყება 22 მარიობისთვიდან". (3—6.—3)

**ხონის საქალებო კერძო პროგიმნაზიის** უფროსი ელენე ლუკა ბახტაძის ასული ამით აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მან ერთის წლით (1905—6 წ.), სწავლა შეაჩერა. ამასთანვე აუწყებს, რადგან თითონ საზღვარ-გარედ მიემგზავრება, ყოველ ცნობების და დოკუმენტების მიღების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სერგეი ლუკას ძე ბახტაძეს 22—25 აგვისტომდე პროგიმნაზიის სადგომში. (3—3)

### სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მთავრობა

ამით აცხადებს, რომ, თანახმად უმაღლეს სასულიერო მთავრობის განკარგულებისა, **განმეორებითი და გადასასვლელი ეგზამენები** ამ სასწავლებლის მოწაფეებისა დანიშნულია: **16—17** აგვისტოს—**IV** კლასისა, **18—III** კლ., **19—20 II** კლასისა, **22—23** I კლასისა, **24**—მოსამზადებელ კლასებში. გამოცდა იქნება იმ პროგრამმით, რომელიც გავლილი ჰქონდათ მოწაფეებს 16 მარტამდის (სწავლის შეწყვეტამდის). მისაღები ეგზამენები დანიშნულია 25, 26, და 27 აგვისტოს, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (3—6.—3)

ახალი რესტორანი ბაღით

**„კავკასი"**

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მთაწმინდის გორაზე, გრილად მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუზიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადის. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—15).

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი

**ვ. ა. გედალინი**

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—7-დან—8 საათამდე. (80—6.—14)

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

**„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"**

9 აგვისტო

**ლონდონი,** 9 აგვისტო. „ტაიმს"-ის პორტ-სმუტელი კორესპონდენტი შემდეგს ცნობებს იძლევა სარწმუნო წყაროებიდან: შუამდგომლობა აღარ იქნება; რუზველტი არ ერევა რუსეთისა და იაპონიას შორის მომხდარს უთანხმოებაში. როზენისთვის მას არ შეუთავაზებია თავისი შუამდგომლობა. რუზველტს დახმარება არ უთხოვნია უცხოეთის სახელმწიფოებისთვის იმისთანა საკითხის გადაწყვეტაში, რომლის აღძრვა არა ჰქონია სახეში. მას არავითარი ცნობა არ მიუწოდებია როზენის შუამწეობით რუსის მთავრობისთვის. რუზველტმა მართლა გამოსთქვა აზრი, მაგრამ შესახებ იმისა, რომ არ იქნებოდა ურიგო შეგვედგინა უანგარო და ნიჭიერ კაცებისაგან კომისია და კონტრიბუციის საკითხი გაგვერჩია. სახალინზე ლაპარაკიც არ ყოფილა. მართალია როზენმა ვიტტეს გადასცა რუზველტის ნალაპარაკევი, მაგრამ ვიტტეს არ უცნობებია იგი თავის მთავრობისთვის. როცა კორესპონდენტი შეეკითხა, შეიძლება თუ არა რაიმე მიზეზისა გამო შეიცვალოს რუსეთის აწინდელი მდგომარეობა კონტრიბუციის შესახებო, მისმა მოსაუბრემ სთქვა, რომ არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს ისეთი რამე, რასაც შეეძლოს შესცვალოს ჩვენი შეხედულებანიო.

**პორტ-სმუტი,** 9 აგვისტო. კორესპონდენტების უმეტესი წილი იუწყება, მოლაპარაკება უსათუოდ შეწყდებაო. ვიტტემ უთხრა ჟურნალისტებს, დღეს თუ ხვალ გამოირკვევა კონფერენციის შედეგიო.

**პარიზი,** 9 აგვისტო. „ჟურნალ"-ის ტოკიოელ კორესპოდენტების ცნობით, უმეტესობა ისე ფიქრობს, რომ ჩქარა დიდს შეტაკებას გავიგონებთ მანჯურიაშიო

**პორტ-სმუტი,** 9 აგვისტო. გადაწყდა სხდომების გადიდება ხვალამდის ოქმების შეუდგენლობის გამო.

**ნიუ იორკი,** 9 აგვისტო. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადება რუსების რწმუნებულებისა: „ჩვენის აზრით, არსებული რთული მდგომარეობა ზავით არ გათავდება. იაპონიის პირობები ძლიერ დამამცირებელია. ჩვენ ბევრში დავუთმეთ. ადვილი შესაძლებელია და ჩვენც ვფიქრობთ, რომ იაპონელები საქმის გაჭიანურებას ცდილობენ. ახლა წინადადებას იძლევიან, ცვლილება შეიტანონ ოქმების ტექსტშიო. საჭიროა ოქმების გადაწერა, რის გამოც ძნელად თუ სამშაბათისთვის მოვასწრებთ ყველაფრის გათავებას და ამ ვადამდე ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ზავის ყოველი იმედი დაკარგულია. დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთისთვის საჭიროა ზავი, მაგრამ იაპონელების ჯიუტობასა და სიხარბეს ის შედეგი მოჰყვება, რომ ომი გაგრძელდება. გადაჭრით უარვყოფთ, ვითომც რუზველტს სამედიატორო სამართალი შემოეთავაზებინოს და ვითომც ჩვენ რაიმე ახალი ინსტრუქციები მოგვსვლოდეს პეტერბურგში მოცემულს გარდა. რუზველტმა ურჩია რუსეთს, სახალინში კონტრიბუციისთვის საჭირო ფული მიეცა და გამოესყიდეო".

**სარატოვი,** 9 აგვისტო. „სარატ. დნევნიკ"-ი იუწყება, სადგურ ტახირევკაას 8 მოხელემ საზოგადოება შეადგინეს, რათა მოთვისებინათ სადგურზე მისული ამანათები და ფული. ამ ბოროტების აღმოჩენამდე მათ 5 ათას მანეთის მოთვისება მოასწრეს.

**სედლეცი,** 9 აგვისტო. 6 აგვისტოს სოკოლოვში სასიკვდილოდ დასჭრეს უფროსი დარაჯი ტიტოვი.—სედლეცის მაზრის მისად მორდში სასიკვდილოდ დასჭრეს დარაჯი მაქსიმოვი.

**პეტერბურგი.** 11 აგვისტოსათვის გადადვეს შუვალოვის მკვლელ კულიკოვსკის საქმის გარჩევა.

**იოჰანესბურგი.** აქ ეშინიანთ ბაზუტოსების (ნეგრების) აჯანყებისა.

**ნიუ-იორკი.** ხმებია, რომ ვენესუელამ 25 მილ. დოლარის ნაღმოსნები, ზარბაზნები და სამხედრო სურსათი შეუკვეთა ევროპაშიო.

**სტამბოლი.** დაიჭირეს ამფეთქებელი სომეხი. ეშინიანთ, რომ სულთანის ტახტზე ასვლის დღეს მისს მოკვლას განიზრახავენ. სომხებს ამოჟლეტის ეშინიანთ და დახმარებას სთხოვენ ევროპას. საზოგადო აზრი ისეთია, რომ სულთანის მოკვლის განზრახვის საქმე უწესოდ სწარმოებდა და ნამდვილი დამნაშავე გადაარჩინესო.

**რიგა,** 9 აგვისტო. მოჰკლეს პოსტზე მდგომი ჯარისკაცი. მსროლელნი მიიმალნენ.

**სოფია** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). როგორც სმირნაში შეთქმულობის აღმოჩენიდან სჩანს, უნდა აეფეთქებინათ გენ.-გუბერნატორი, ორივე ყაზარმა, ოტტომანთა ბანკი და გაზის ქარხანა. 14 სექტემბერს გენ.-გუბერნატორისათვის კედლის საათი უნდა მიერთმიათ, სადაც ჯოჯოხეთის მანქანა იქმნებოდა ჩამალული. როცა ეს მანქანა იფეთქებდა, მაშინათვე შეუდგებოდნენ აღნიშნულ შენობების აფეთქებას ბომბებით. დღემდე 115 ბომბა დაიჭირეს, სამი მანქანა ჯოჯოხეთის და აფეთქებელი დინამიტი. ამ შეთქმულობას შტაბი აქვს სტამბოლსა და სალონიკში.

**„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"**

9 აგვისტო.

**ნიუ-იორკი,** 9 აგვისტო. ელოდებიან, რომ იაპონელები სვალ დაუთმობენ რუსებს ორს პუნქტში,

**ოისტერბეი,** 9 აგვისტო. აქ ფიქრობენ, რომ თავიდან აიცილეს მოსალოდნელი განხეთქილება. იმედი აქვთ საქმის კარგად დაბოლოვებისა. რუზველტი გულ-მოდგინედ სცდილობს გასწმინდოს შესათანხმებელი გზა. ფიქრობენ, რომ მისმა სურვილმა გავლენა იქონია ორივე მხარეზე. რუზველტის წარმომადგენელს თათბირი აქვს ვიტტესა და როზენთან საზღვაო არსენალში.

**სიტიაზა,** 9 აგვისტო. მარცხენა ფრთაზე, 4 აგვისტოს, მზვერავებმა შეავიწროვეს იაპონელების კავალერიის ორი როტა და გუძიაძიდან და პირდაპირი სროლა ჰქონდათ იულანძისთან ჩვენ მოგვიკლეს 2, დაგვიჭრეს ერთი.

**ნიუ-იორკი,** 9 აგვისტო. დღეისათვის დანიშნული სხდომა ხვალამდის გადაიდო ოქმის გათავლიერების გამო.

**ტოკიო,** 9 აგვისტო. „პერესვეტ"-ს იაპონელებმა გადაარქვეს „საგამი", „პოლტავა"-ს—„ტანგო", „ბაიან"-ს—„აზო", „პოლლადა"-ს—„ცუგარუ" და „ვარიაგ"-ს—„სოია".

**ნიუ-იორკი,** 9 აგვისტო. „ნიუ-იორკ-ტაიმს"-ის ცნობით, რუზველტი დარწმუნდა ორივე მხარემ, რომ სამშვიდობო კონფერენციის სხდომა სამშაბათს არ იქმნება უკანასკნელიო.—რწმუნებულებმა რამდენიმე ხანი მეორე-ხარისხოვან საკითხებს უნდა შესწირონ.

**ოისტერბეი,** 9 აგვისტო. კანეკომ განაცხადა, თუმცა საკუთარის ინიციატივით ვიყავ სადარბაზოდ რუზველტთან, მაგრამ მე მაინც წარმომადგენელი ვარ იაპონიის მთავრობისაო. იქნება იაპონიას მოსწონს კიდეც რუზველტის წინადადება სამედიატორო სამართლის შესახებ.

**ბერლინი,** 9 აგვისტო. „ლოკალ ანცაიგერ"-ი ამბობს იმის შესახებ, ვითომც გერმანია მხარს უჭერდეს რუზველტის შუამდგომლობას, რომ სახელმწიფოები დაინტერესებული არიან მოლაპარაკების კარგად გათავებაში, მაგრამ აქტიურ მონაწილეობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო.

**ხარბინი,** 9 აგვისტო. წითელის ჯვრის კაუფმანისა, გროდნოსა და ნოვგოროდის საზოგადოებათ ალკვეთეს მოქმედება.

**ადესა.** სამხედრო სასამართლომ უვადო კატორღა გადაუწყვიტა მოქალაქე დრუს, რომელმაც 16 ივნისს გოროდოვოის მოკვლა განიზრახა.

**ელისავეტგრადი.** ალექსანდრეს მაზრაში გლეხებმა დასწვეს ბუცის ეკონომია. პატრონმა თავს უშველა.

**ვილნო.** სიკვდილ გადაწყვეტილმა იზრაელ პერსანმა საკასაციო საჩივარი შეიტანა.

**სტამბოლი.** ტყუილი ცნობა, ვითომც ოსმალეთის ჯარებში მაკედონიაში მობილიზაცია გამოცხადდათ.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ზავზე მოლაპარაკება.** ლამის ზავზე მოლაპარაკება შესწყდეს და ომის ასპარეზზე ხელ-ახლად ბრძოლა გაჩაღდეს. რუსეთი სამხედრო საზღაურის გადახდასა და სახალინის დათმობას არა სთანხმდება, და იაპონიაც ბეჯითად თხოულობს ამ ორის მოთხოვნილების შესრულებას. რით გათავდება ეს დიდი უთანხმოება, ეხლა მეტად ძნელი გამოსაცნობია, მით უმეტეს რომ პორტ-სმუტიდან მეტად არეული დეპეშები მოდის. დეპეშებიდან მხოლოდ ისა სჩანს ცხადად, რომ ორივე მხარე ბეჯითად სდგას თავის აზრსა და ჯერ დათმობას არ აპირობს.

პორტ-სმუტში იაპონიის რწმუნებულთ გარდა, იაპონიის პარლამენტის წევრი და საფინანსო აგენტი, ბარონ კომურას მეგობარი, მაცუმოტო იმყოფება, მაცუმოტოს უთქვამს „მატენ"-ის კორესპონდენტისათვის: „თუ რუსები მართლა გულწრფელად აცხადებენ, რომ სამხედრო საზღაურს არ გადავიხდით და სახალინს არ დავუთმობთო, მაშინ მოლაპარაკება უსათუოდ შესწყდება. ჩვენ სულ მცირედ 2½ მილიარდს მანეთს მოვითხოვთ კონტრიბუციად. სახალინსაც თავის დღეში არ დავუბრუნებთ რუსეთს: ამ კუნძულს ძველი სახელი კარაფუტო დავარქვით და კუნძულზე ყველა ბუხტასა და ქალაქსაც სახელები გამოვუცვალეთ და იაპონური სახელები დავარქვით. ვიმეორებ, სახალინი ეკონომიისა, პოლიტიკურისა და სტრატეგიულის მხრით სამუდამოდ იაპონიისა დარჩება. ვიმეორებ აგრეთვე, რომ იაპონია სამხედრო საზღაურსაც არას მოაკლებს, თუ რუსეთი უარს იტყვის საზღაურის გადახდაზე, მარშალი ოიამა დაუყოვნებლივ იერიშს მიიტანს რუსის არმიაზე", კორესპონდენტს უკითხავს: იაპონიას ფული ეყოფა, რომ ომს ერთ, ორ, ან მეტ წელიწადს გაუძლვესო? მაცუმოტოს უპასუხნია: „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ევროპაში იმდენ სესხს გამოვცემთ, რამდენიც საჭირო იქნება, თუ ჩვენი საკუთარი ფული არ გვეყოფა. ჩვენ ფულზე არ გვეფიქრება, ეგაა ჩვენ ის გვენანება, რომ თუ ომი გაგრძელდა, ორსავ ხალხს ახალი მსხვერპლი დასჭირდებათ და ბევრი ახალგაზდა კაცი დაეკარგებათო". („ნ. დ.").

ზოგს ჯერ კიდევ შესაძლებლად მიაჩნია მორიგება. ერთი უცხოელი დიპლომატი სწერს „ნ. ვ. ტაგებლატ"-ში: შეიძლება სახალინზე საქმე ამნაირად გადასწყდესო. იაპონია კუნძულის სამხრეთ ნაწილს აიღებს, და ამ ნაწილის ფასს სამხედრო საზღაურიდან გამოირიცხავსო; კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს კი ისევ რუსეთს დაუბრუნებსო.

ბელგიური გაზ. „ინდეპანდ. ბელჟ"-ი ფიქრობს, რომ რუსეთი სამხედრო საზღაურის გადახდასაც დასთანხმდებაო. გაზეთი სწერს: ადვილად შესაძლებელია, რომ იაპონელებმა 2½ მილიარდი მანეთი კონტრიბუცია მოითხოვონ, შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ რუსებმა პრინციპიალურად უარი სთქვან რაიმე საზღაურის გადახდაზე, მაგრამ ეს მაინც არა ჰნიშნავს იმას, რომ იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულთ საბოლოოდაც ვერ მოახერხონ ამ საქმეზე მორიგება. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება დაწერილი ეს მოთხოვნილება, შეიძლება მცირეს მოთხოვნითაც შეიბღალოს რუსების ეროვნული თავმოყვარეობა, მაგრამ შეიძლება ბევრი რამეც დაათმობინონ რუსეთს ისე, რომ იმის თავმოყვარეობა არ შეიბღალოს. იაპონელები საქმის ხალხი არიან და რუსეთის დამცირება სრულებით არა სწადიანთ. იაპონელებმა კარგად იციან, რაც უნდათ და ძვირფას დროს არ დაჰკარგავენ უსარგებლოდ, აბრკოლებას არ შეჰქმნიან, და თავიანთ ქვეყნის წინ სვლას არ შეაფერხებენო. (ნ. ჟ.)

„დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი იუწყება პორტ-სმუტიდან: უნდა შევნიშნოთ, რომ იაპონიის მოთხოვნილება ისეთის მოხერხებითაა შედგენილი და ისე ზრდილობიანადაა დაწერილი, რომ მოლაპარაკების უეცრად შეწყვეტა შეუძლებელია. ამ აზრით, ყოველი მოთხოვნილება, რომელმაც, შეიძლება, რუსებს არ ესიამოვნოთ, იმდენად ნაზადაა დაწერილი, რომ ნამდვილად მწარე აბსა ჰგავს ტკბილ კანში გახვეულსაო. („რ. ვ.").

**ამერიკულ გაზეთის რჩევა.** ამერიკული გაზ. „სონ"-ი მოწინავე წერილში აფრთხილებს რუსეთს, რომ ნუ განაგრძობო და ბეჯითად ურჩევს შერიგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონელები გენ. ლინევიჩს დაამარცხებენ, ახალ სედანს გაუმართავენ რუსის არმიას და იაპონიის ესკადრაც ბალტიის ზღვაში წავაო. („რ. ს.").

ბევრი სხვა გაზეთიც ურჩევს რუსეთს შერიგებას.

**რუსის ჯარი მანჯურიაში.** „თუმცა ასე ურჩევენ რუსეთს, მაგრამ რუსის გენერლები და პატრიოტული პრესსა მაინც ბეჯითად თხოულობენ ომის გაგრძელებას. ეხლა ჩვენი ჯარი უსათუოდ აჯობებს იაპონელებსაო, მით უმეტეს რომ მანჯურიაში ამ ჟამად ჩვენ მეტი ჯარი გვყავს, ვიდრე იაპონიასაო და ჩვენ ჯარს გულწრფელად სწადიან ბრძოლა და მტრის დამარცხებაო. ზოგიერთ სამხედრო კორესპონდენტს მაინც და მაინც არა სწამს რუსის ჯარის გამარჯვება. „მატენ"-ის კორესპონდენტი ქანროდი სწერს: „თუმცა გენ. ლინევიჩს კარგი ჯარი ჰყავს და მარჯვე პოზიციები უპირავს, მაგრამ აფიცრები წინანდებურად არ უვარგა. ერთამა რუსის მთავარ შტაბის აფიცერმა, სხვათა შორის, მითხრა: „ჩვენ ეხლა მაგარი პოზიციები გვიჭირავს და ბევრი ჯარი გვყავს, ამიტომ წინ უნდა გავველაშქრნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ ისე ძველი გენერლები გვყავს, ესე იგი იგივე კუროპატკინი, იგივე მამაცი სალდათი, მაგრამ გაუბედავი სარდალი-კაულბარსი და „მოხუცი ლინევიჩი". სამწუხაროდ არც აფიცრები გამოიცვალნენ. მართალია იმათში ნიჭიერი და გამოჩენილი აფიცრებიც ურევია, მაგრამ ესენიც დანარჩენ უნიჭო აფიცრებში ჰქრებიან. ყველამ კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს რუსის აფიცრების უმეტესობა, არა მგონია ქვეყნიერებაზე სხვა რომელიმე არმია ასე დაბლა იდგას განათლების მხრივ, როგორც რუსის არმია დგას. ამ აზრის დასტკიცება მრავალის მაგალითით შემიძლიან. ბევრ აფიცერს აქ არა თუ მთელის არმიის მდგომარეობა არ ესმის. იმისი გაგებაც-კი არ შეუძლიან, თუ რა ადგილი უჭირავს იმის საკუთარ კორპუსს, ან დივიზიას. ერთხელ რამდენსამე აფიცერს პლანი დავუხატე და მოკლედ ავუხსენი რუსისა და იაპონიის არმიის პოზიციები. ჩემი მსმენლები მეტის მეტად გაკვირდნენ: მანამდე არა იცოდნენ რა ამნაირი პლანისა. გაკვირვებითა და უნდოთ დამიწყეს ყურება. რას უნდა მოველოდდეთ ამნაირ აფიცრებისაგან? ნიჭიერი აფიცრები-კი გულ-გატეხილნი არიან და აღარაფერი აღარა სწამთ. როცა მომავალ გამარჯვებაზე ელაპარაკება ვინმე, ისინი ირონიულად იცინიან. ყველანი სწუ-

ნობენ თავიანთ გენერლებს: „ჩვენი გენერლები არაფრად არ ვარგანანო. მამაცი გენერლები უვიცები არიან, მცოდნე გენერლები—მხდალებიო“.

შემდეგ როდი ხარბინის ცხოვრებას ასწერს: „ხარბინში დიდძალი აფიცერი ირევა. ესენი არმიიდან მიდიან იქა და მთელ დღე-ღამეებს მოურიდებლად ატარებენ რესტორანებსა, კაფე-შანტანებსა და საროსკიპო სახლებში და ბევრ უწესოებას ახდენენ. ერთხელ ერთ აფიცერს არმიაში საუბრის დროს ვკითხე: მაშ თქვენ მაიმაკაიში დგეხართ-მეთქი?

— სულაც არა. ეს არის ახლა მოველ ხარბინიდან, სადაც ორი თვე გავატარე.

— როგორ? იქ საქმეზე იყავით გაგზავნილი?

— სულაც არა, ღიმილით მიპასუხა აფიცერმა.—როცა მუკდენიდან დავიხიე, დაჭრილთა ვაგონში შევვარდი და პირდაპირ ხარბინში მივედი. მე მხოლოდ გუშინ დავბრუნდი არმიაში და ვნანობ, რომ ასე ადრე დავბრუნდი.

დასასრულ კორესპონდენტი სწერს: „ისინი, ვინც ირწმუნებიან, რომ მანჯურიის არმიას ომის გაგრძელება სწადიანო, სულ ტყუილს ამბობენ. თითქმის ყველას, ვისთანაც-კი ლაპარაკი მომიხდა, გულით სწყურიან ზავი. მხოლოდ მცირე ჯგუფი უმთავრესად გენერლები, შტაბისა და საიტენდანტოს აფიცრები—ამტკიცებს, საჭიროა რუსეთის სახელი აღვადგინოთო. სალდათები კი გატაცებით ჰკითხულობენ ცნობებს საზავო მოლაპარაკებაზე. („ს. ო.“).

## ერთი ნაკლთაგანი

ისინი, ვინც ნიადაგი მოუმზადა ახალ წესწყობილებას რუსეთში და ხელი შეუწყო იმის დამყარებას, ერთ ახირებულ აზრს ამტკიცებენ. ისინი ამბობენ, რომ წარმომადგენლობა უნდა იყოს „გამომხატველი არა ინტერესების, არამედ ხალხის აზრისა“. სწორედ საკვირველია და გაუგებარი მეოცე საუკუნეში ამგვარი რწმენა. ვინ არ იცის ეხლა, რომ საზოგადოება დაყოფილია კლასებად და ამ დაყოფის მიზეზი ერთად ერთია: ინტერესების სხვადასხვაობა, წინააღმდეგობა. თუ ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაშ როგორ შეიძლება ხალხისაგან ამორჩეულმა წარმომადგენლებმა გასცენ ხალხის აზრი და მათი ინტერესები არ დაიცვან. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ბუნდი ფორმულა რუსეთის თავისებურების მოტრფიალეთა მოთხზულია განსაზღვრულის მიზნით: სიტყვებით თვალი აუხვიონ ხალხს და არ დაანახვონ ნამდვილი მათი მისწრაფებანი. ეს მისწრაფებანი-კი დღესავით ნათელია: ხელში შეერჩინონ ძალა პრივილეგიის პატრონ კლასსებს.

მართლაც, განა სიტყვების თამაში არ არის, როდესაც ამბობენ შიპოვისტები: „წარმომადგენლობა უნდა იყვეს გამომხატველი არა ინტერესების, არამედ ხალხის აზრისაო“. წარმომადგენელნი ხალხის ინტერესს იცავს აზრით და, მაშასადამე, ინტერესი და აზრი განუცალკევებელია: აზრია—ფორმა, ინტერესი კი შინაარსი. დააკვირდით, ვის ირჩევენ შიპოვისტების სასიხარულოდ და მათ აზრით თანახმად ახალ კანონით სახელმწიფო სათათბიროში და ცხადად დაინახავთ, რა გულწრფელ მისწრაფებით ხელმძღვანელობდნენ ხალხის მოსარჩლენი, რომელთაც სურთ დაუახლოვონ ხალხი მეფეს. სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქნებიან უმეტეს ნაწილად მსხვილი მემამულეები და ვაჭრები, რომელნიც ვერ გამოსთქვამენ ხალხის აზრს, რადგანაც არ შეუძლიათ იქონიონ თავის მდგომარეობაში ისეთი აზრები, როგორიც აქვს ხალხს. ისინი იტყვიან თავის აზრს, ისინი დაიცავენ თავის ინტერესებს. რა შეემატება ხალხს მათი წარმომადგენლობით, ყველასათვის აშკარაა. განა ხალხი ისევ დაშორებული არ იქნება მეფისგან? განა ბიუროკრატიის მაგივრად არ აშენდება ახალი კედელი, რომელიც დაუშლის (ვინ იცის, იქნება უფრო მეტად, ვიდრე ბიუროკრატია) ხალხის გმინვას მიაღწიოს მეფესთან და გაგონილ იქმნეს. რასაკვირველია, ახალი წარმომადგენლები ხალხზედაც ილაპარაკებენ, მაგრამ მათ ლაპარაკში ხალხის აზრი ისე დამახინჯდება, როგორც ადამიანის სახე მახინჯდება ხოლმე მრუდე სარკეში.

მაგრამ დავეთანხმოთ, რომ აზრი სხვაა, ინტერესები სხვა. მაშინ უეჭველია, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხალხის ნამდვილი აზრი გავიგოთ. განათლებულმა ხალხმა ერთი საშუალება იცის ამ აზრის მისაღწევად: საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, დაფარული არჩევანი. შიპოვისტები და მათთან სახელმწიფო სათათბიროს პროექტის შემდგენელნი სხვა აზრისა გახლავან. მათის შეხედულებით, ყოველს მოქალაქეს არ შეიძლება მივანიჭოთ პოლიტიკურ არჩევნებში მიღების თანასწორი უფლება. რა მოსაზრებით? შიპოვს და ძმ. უყვარს ავტორიტეტები და თავიანთ მოსაზრებას ჯემს ბრაისის შემდეგის სიტყვებით ასაბუთებს: „ხალხის წარმომადგენლები უნდა ირჩეოდნენ ადგილობრივ საუკეთესო პირთა და შეძლების დაგვარად მცხოვრებთა ბუნებრივ წინამძღოლთა შორის“.

ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ რატომ საუკეთესო პირნი ვეძიოთ მსხვილ მიწათ-მფლობელებში და სხვათა დიდი ქონების მქონეთა წრეში. განა ხალხი, ნამდვილი ხალხი მოკლებულია საუკეთესო პირთა და არაფერი ესმის თავისი ავ-კარგისა, ან, შიპოვისტების ენით რომ ვსთქვათ, განა ხალხის შვილებს არ შეუძლიათ გამოხატონ „ხალხის აზრი“? ალბად, არა, რომ ხალხის ბატონებს ავალებენ ხალხის მაგივრად ლაპარაკს. ჩვენა გვგონია, რომ „საუკეთესო პირთა“ მომხრენი ხელმძღვანელობენ არა წმიდა მისწრაფებით, როდესაც ფარისევლურად ლაპარაკობენ ხალხზედ, მაგრამ გულწრფელთა შორისაც არის გავრცელებული ის აზრი, რომ ოთხ ზედშესრულიანი არჩევანი არ არის გარანტია ხალხის ნამდვილ ინტერესების გამოაშკარავებისა. ისინი ამბობენ, რომ არჩევანის შედეგი ყოველთვის დამოკიდებულია არჩევნის წინამძღოლ აგიტაციისაგან. რადგანაც ერთ პირს, რა გინდ ნიჭიერიც იყვეს, არ შეუძლიან მეტოქობა გაუწიოს მთელს პარტიას, რომელსაც შეკრებილი ძალა აქვს, იგი იძულებულია მიემხროს რომელსამე პარტიას და მიიღოს მისი შაბლონური პროგრამმა, თუ სურს არჩეულ იქმნას. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში იკარგება პიროვნების თავისუფლება, ორიგინალობა და მასთან წარმომადგენლობის კარგიანობა: თავისებურ პიროვნების მქონე პირნი არ შედიან მასში და თავისებურ ბეჭედს არ ასვამენ. ამიტომ ხალხის ინტერესი მოითხოვს წარმომადგენლობა ისე მოეწყოს, რომ ორიგინალური პირნი მოხვდნენ წარმომადგენელთა საკრებულოში, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელოვნურ გადარჩევას (отборъ) მოვახდენთ ამომრჩეველთა შორის.

მართალი მსჯელობაა მაგრამ დამყარებული იმ შემცდარ შეხედულებაზედ, რომ პიროვნება ჰქმნის ისტორიას. დიდია მნიშვნელობა ისტორია პიროვნებისა, ძრიელი გავლენა აქვს ცხოვრების მიმდინარეობაზე, მაგრამ შექმნა ისტორიისა მას არ ძალუძს. ეჭვს გარეშეა, რომ გენიოსი, ამორჩეული წარმომადგენლად, შორს მჭვრეტელის თვალით უკეთესად შეიგნებს ხალხის ინტერესს, მაგრამ, მის შორსმჭვრეტელობას მარტო თეორეტიული მნიშვნელობა ექნება და არა პრაქტიკული. ცხოვრება ექვემდებარება რეალურ ძალებს, რომელნიც აწმყოს ჰქმნიან მომავლისთვის. მომავლის წინად შეგნება შეიძლება, მაგრამ აწმყოდ გარდაქმნა შეუძლებელია, თუ თვით ცხოვრებას არ მოუმზადებია ხელის შემწყობი პირობები. აი, ამიტომ ხალხის ცხოვრებაში უახლოესი მნიშვნელობა აქვთ არა გენიოსებს, ბრწყინვალე აზრებით აღჭურვილს, არამედ უბრალო მუშაკებს, რომელნიც დედამიწაზედ დგანან და მის წვა-დაგვის მოსპობას ცდილობენ. არისტოკრატიზმი გონებისა კარგია, მაგრამ ხალხის ინტერესების ხშირად დამვიწყებელიც.

ახალ წეს-წყობილების ერთ დიდ ნაკლთაგანი უნდა ჩაითვალოს არისტოკრატიზმის პრინციპი, ისიც არა გონებისა, არამედ ქონებისა.

**შ. ჩიტაძე.**

## ახალი ამბავი

◆ ქუთაისში, როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, 8 აგვისტოს ღამე ჯარის ბანაკის მახლობლად **სროლა ატეხილა სალდათებსა და ხალხს შორის.** რამდენიმე კაცია თურმე მოკლული და დაჭრილი.

◆ **თიანეთში ადგილობრივ ადმინისტრაციის დასახმარებლად** გაუგზავნიათ ტვერის დრაგუნთა პოლკის ორი ესკადრონი და პოლტავის რაზმთა პოლკის ერთი სოტნა.

◆ დუშეთის მაზრის უფროსის მოთხოვნილებით სოფელ **ჩარდახიანთ-კარში ადგილობრივ ადმინისტრაციის დასახმარებლად** გაუგზავნიათ ნოვგოროდის პოლკის ერთი როტა. („კავ.“).

◆ ნამესტნიკის ბრძანებით, დაშლილ იქმნა ეგრედ წოდებული რიონის რაზმი, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად **გურიაში გაიგზავნა.** თავ-თავის ბინებზე გაგზავნეს აგრეთვე ის ჯარი, რომელიც რკინის გზას იცავდა ბათუმის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიაში. დასტოვეს მხოლოდ თითო როტა ფოთსა, სამტრედიასა და შორაპანში.

◆ 6 აგვისტოს ალექსანდროპოლში, როგორც გვატყობინებენ, **ერთი სახლი მოულოდნელად აფეთქებულა.** სახლი დაქცეულა და ნანგრევებში უნახავთ რამდენიმე დალუპულ კაცის გვამი.

◆ ახლად ჩამოსულ **საქართველოს ეგზარხოსს** დიდის ამბით მიულოცეს სომხის სამღვდელოებამ და თათრების წარმომადგენლებმა. ეგზარხოსთან თვითონ კათალიკოსი იყო, ხოლო თათართა დეპუტაციამ ადრესი გადასცა.

◆ **ტფილისში ჩამოსული და ეგზარხოსის სასახლეში ეგზარხოსთან ჩამომხტარა** იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.

◆ როგორც „ივერია“ გადმოგვცემს, ქართლ-კახეთის საეპარქიო **სამრევლო სკოლების მეთვალყურეს** და ვოსტორგოვის მოადგილეს ა. ი. ოდოევს სამრევლო სკოლებზე გაუნაწილებია ის 9000 მანეთი, რომელიც საერო თანხიდან გადაიღო. ეს ფული ბ-ნ ოდოევს მარტო იმ სოფლებისთვის უბოძებია, სადაც გადმოსახლებული რუსები სცხოვრობენ. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, თითქმის არც ერთი რუსის სოფელი არ არის ამიერ-კავკასიაში, სადაც სკოლა არ დაარსებულიყოს საერო თანხით, ე. ი. იმ ფულით, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან იკრიბება.

◆ როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, საქართველოს ეგზარხოსი ამ ჟამად იკვლევს თურმე **„სასულიერო მოამბის“ ქართულ განყოფილების** მოსპობის მიზეზებს. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ, რომ ხსენებულ ჟურნალის „ქართული განყოფილება“ ოფიციალურ განკარგულების მეტს თითქმის არაფერს შეიცავდა და ეხლა ამ ვითომდა „განყოფილების“ განახლება, თუ სხვა რამ არაფერი დაერთო, არავის არაფერს სარგებლობას არ მოუტანს.

◆ ახალციხის მაზრის კობლიანის საბოქაულოში ამას წინად **დიდი ძარცვა-გლეჯა და თავდასხმა მოხდა.** სათათრეთიდან გადმოვიდნენ ყაჩაღები და თავ-ზარი დასცეს იქაურ მცხოვრებთ. ადმინისტრაციამ ყაზახი-რუსები ჩააყენა, მაგრამ ყაჩაღები იმავე მაზრის ურაველის საბოქაულოში გადავიდნენ და ეხლა იქ დაიწყეს მოქმედება.

◆ ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოში ჩვეულებრივი სხდომები **გლეხთა და მემამულეთა სადაო საქმეების გასარჩევად** დაიწყება ოქტომბრის შუა რიცხვებიდან და გასტანს აპრილის დამლევამდე.

◆ ახალქალაქის მაზრის სოფელ **ემატის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს,** რომ სახაზინო მიწებიდან მიეცეთ სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, რადგან თავიანთი ადგილები, სიმცირის გამო, არა ჰყოფნით.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ გეურხის **გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს,** მიეცეთ მათ ამავე სოფლის მახლობლად სახელმწიფო საძოვარი ადგილები.

◆ **ქუთაისის გუბერნიის მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა გამგეობის უფროსი** დავიდოვი თერგის ოლქში გადაჰყავთ. იმის ადგილას თერგის ოლქიდან გადმოჰყავთ პავლოვსკი. („კ.“).

◆ იმ ადგილებში, სადაც **სამხედრო სახალხო მართვა-გამგეობაა შემოღებული,** ბევრს სოფლის საზოგადოებას ჩამოერთვა უფლება მამასახლისის და იმის თანაშემწის არჩევისა. ეხლა, ნამესტნიკის განკარგულებით, ასეთ საზოგადოებებს კვლავ დაუბრუნდათ ხსენებული უფლება. ზაქათალის ოლქში უფლება ჩამორთმეული ჰქონდა 7 საზოგადოებას, სოხუმისაში—8, ყარსისაში—9 და დაღესტნისაში—9.

◆ შემდგარა ამხანაგობა **ფოთიდან ჩხამჩირემდე რკინის გზის გასაყვანად.** ამხანაგობას, „კ.“-ს სიტყვით, უკვე მიუღია ნებართვა.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ ოლგინსკში სცხოვრობენ **შიდა რუსეთიდან გადმოსახლებული რუსის გლეხები,** რაცხვით ოცდა-ათ კომლამდე. ესენი მიწერილნი არიან დიდ-ლილოს სოფლის საზოგადოებაზე და მონაწილეობას იღებენ ამ სოფლის საქმეების მართვა-გამგეობაში. ეხლახან მათ ცალკე განაჩენი დაუდგენიათ და შუამდგომლობა აღუძრავთ საგუბერნიო მთავრობის წინაშე, რომ ისინი გამოაცალკევონ და თავიანთი სამამასახლისო დაუარსონ. ამნაირ შუამდგომლობას იმით ასაბუთებენ, რომ ქართული ენა არ ვიცით და ხშირად უსიამოვნება მოგვდის ადგილობრივ გლეხებთანაო: მასაც უმატებენ, რომ ჩვენ საქმეს ჩვენ უფრო კარგად გავუძღვებითო.

◆ **პოლიტიკური საქმე ყიფიანისა, ფედორენკოსა** და სხვათა ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია არა 10 აგვისტოსათვის, როგორც ტფილისის გაზეთებში იყო შეცდომით აღნიშნული, არამედ 7 სექტემბრისათვის. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები კლონქი, ი. მ. დოლუხანოვი და გ. ზავრიევი.

◆ აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოხდება საგანგებო კრება ტფილისის **სათავადაზნაურო სკოლის** საზოგადოებისა ამ სკოლის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ როგორც ცხინვალიდან გვატყობინებენ, იქ მოუკლავთ **ცხინვალში მცხოვრები კასრაძე.** კასრაძე ბაქრაძის სახლში შეუტყუებიათ, მოუკლავთ და მერე მოკლული გზაში გადაუგდიათ. მოკლულის გვამი ხალხს დიდის პატივით დაუსაფლავებია.

◆ როგორც „ივერია“-ს გაუგია, ტფილისის გუბერნიის მარშლის კანცელარია ადგენს თურმე მოხსენებას ამიერ-კავკასიაში **სასურველ ტიპის საერობო დაწესებულებათა შემოღების** შესახებ. ეს მოხსენება ორის კვირის განმავლობაში დაურიგდება თურმე თავად-აზნაურთ.

◆ 5 აგვისტოს **გურიაში გაძარცვეს ჯუმათის მონასტერი.** შევარდნილა მონასტერში ექვსი შეიარაღებული კაცი, დაუჭრიათ წინამძღვარი, შემდეგ შესულან ეკკლესიაში და წაუღიათ ძვირფასი თვლები და ხატები. როგორც ამბობენ, თხუთმეტიათას მანეთის ნივთები წაუღიათ.

◆ გუშინ, 10 აგვისტოს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტვერის დრაგუნთა პოლკის სალდათის გრიგორ ვოლოსოვისა, რომელსაც ამავე პოლკის **პოდპორუჩიკის თავ. სუმბათაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდა.** თავ.

## ფელეტონი

### კანადა

### თვითმართველობის შემოღებამდის.

წინა წერილიდან გავიგეთ, რომ ამერიკაში მომხდარ რევოლიუციის დროს, კანადა არა თუ არ მიემხრო მეამბოხეთ, პირიქით, მათ განდევნაში მხურვალე მონაწილეობაც-კი მიიღო. ამბოხებისა და რევოლიუციის წინააღმდეგნი ჩრდილო-ამერიკაშიც ბევრნი მოიპოვებოდნენ. ამ უკანასკნელთ სჯეროდათ, რომ კეთილობითა და ურჩობით თუ მოთმინებიდგან არ გამოიყვანთ მეტროპოლიას, ის თითონ მოუგვარებს ცხოვრებას სასურველად და ამგვარად სისხლ-დაუღვრელად საქმე თავის თავად გაკეთდებაო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ მიხედულობის მომხრენი ცოტანი არ იყვნენ, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, გამარჯვება გაბედულ და უფრო რადიკალურ პარტიასა ხვდა წილად. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ მეტროპოლიის მომხრეთ თავის თავისთვის რამე უნდა ეზრუნათ, რადგან ამერიკის უკიდურეს პატრიოტებმა როგორც ახალი მთავრობის წინააღმდეგნი, ესენიც მტრებათ დასახეს და დევნა-რბევა დაუწყეს. ლოიალისტები ასე ეძახდნენ მათ, იძულებულნი იყვნენ ომის გათავებამდის კანადის ციხე სიმაგრეებისთვის შეეფარებინათ თავი.

ჩრდილო-ამერიკის ომი შვიდი წლიწადი გაგრძელდა და, როგორც ვიცით, 1783 წელს ზავ-შეკრულობით გათავდა. ამ ზავ-შეკრულობის ძალით იმ ახალ-შენებს, რომელთაც ამბოხების დროს მეტროპოლიას არ უღალატეს (ლოიალისტებს), სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ, სადაც თანამემამულეებს უწინდელი ადგილ-მამული და უფლებები სავსებით უნდა დაებრუნებინათ უკან.

მაგრამ ეს პირობა პირობადვე დარჩა და საქმით ყოველი პროვინცია უარს ეუბნებოდა მათ, რადგან მთავრობას ამ პირობის შესრულების დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ შესძლებდა, რადგან ხალხის უმეტესობას ლოიალისტები პირიქით ეჯავრებოდა და ერთხელვე მოღალატეებათ დასახულ თანამემამულეებს სასურველ მეზობლად ვეღარა სცნობდა.

ამ მიზეზებისა გამო ლოიალისტებისთვის სამშობლოში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი გახდა, რადგან ამერიკელნი არა თუ არ უბრუნებდნენ უწინდელ ადგილ-მამულს, ყოველ ნაბიჯზედ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ და მასხარათ იგდებდნენ. გაიგო თუ არა მეტროპოლიამ მათი გაჭირვებული მდგომარეობა კანადაში გადმოსახლების წინადადება მისცა, სადაც ადგილ-მამულს უხვათ ჰპირდებოდა. ამგვარად წლისა თუ წლინახევრის განმავლობაში, კანადაში ორმოცი ათასი (40,000) ლოიალისტი გადასახლდა. ლოიალისტებს მრავალი ემიგრანტი მოჰყვა ინგლისიდან და თუ 1763 წელს 70,000 მცხოვრებზედ მეტი არა ჰყავდა კანადას, 1800 წელს 240,000 ახალშენელი ითვლებოდა ამ პროვინციაში. ეს ემიგრანტები კვლავ, რასაკვირველია, ინგლისის ძველ ახალშენებში გადასახლდებოდნენ და კანადას ძნელად თუ ვინმე ამოირჩევდა საცხოვრებლად, მაგრამ ეხლა-კი, როდესაც ინგლისიდან გამოსულებს ჩრდილო-ამერიკაში ყველა მტრულად უყურებდა, მათი იქ დასახლება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ მიზეზებისა გამო კანადის მცხოვრებთა რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა და რადგა—თოთხმეტი წლის შემდეგ 400,000 სული მცხოვრები ჰყავდა კანადას. მცხოვრებთა რაოდენობის გამრავლება ახალშენთა დასახლების პროგრესსის გარდა კანადის გაინგლისელებასაც მოწმობდა, რადგან ამერიკის ლოიალისტებს ინგლისიდან ათასობით გადმოსახლებული ემიგრანტები ემატებოდნენ და ამ რიგათ ინგლისელთა რაოდენობა შესამჩნევად იზრდებოდა, მაშინ როდესაც ფრანგები მხოლოდ ბუნებრივად მრავლდებოდნენ. ამ გარემოებას კანადის პოლიტიკური ცხოვრებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თავისუფლებას შეჩვეული ინგლისელი და ჩრდილო-ამერიკიდან გადმოსახლებული ლოიალისტი, რასაკვირველია, უუფლებობას შეჩვეულ ფრანგებსავით, კანადის მთავრობის თვითნებობას ვერ აიტანდნენ და მათ პოლიტიკანობას ვერ მოითმენდნენ.

ის ლოიალისტები, რომელნიც გუშინ რევოლიუციონერების წინააღმდეგნი იყვნენ თავიანთ სამშობლოში და რომელთაც ინგლისის ერთგულებით თავის მიწა-წყალსაც-კი დაანებეს თავი, აიყარნენ და უდაბურ, მიუვალ ტყე-ღრეში გადასახლდნენ, დღეს თითონ ჩაეწერნენ უკმაყოფილოთა რიცხვში და რაშიც გუშინ სხვებსა სძრახავდნენ დღეს თითონ მასვე ჩადიოდნენ. ყველაზედ მეტად ქვემო კანადაში დასახლებული ინგლისელები იყვნენ უკმაყოფილონი რადგან ქვემო კანადის მცხოვრებთა უმეტესობას ფრანგები შეადგენდნენ, რომელთ ფეოდალური წესი და კანონი ბევრი შეინარჩუნეს და როგორც ეტყობოდათ, სხვა წესი და სხვა რიგი ცხოვრება არც-კი ესიამოვნებოდათ. მათთან რასაკვირველია, ინგლისელებსაც უნდა ესარგებლნათ დაძველებულ და მათთვის უცხო კანონმდებლობით, რაიც არასგზით არ ჩაითვლებოდა მათთვის სასურველად. ზემო კანადაში-კი მარტო ინგლისელები და ლოიალისტები სახლობდნენ, რომლებისთვის სანეტარო საგნათ მხოლოდ ის გამხდარიყო, რომ როგორმე ქვემო კანადს ჩამოშორებოდნენ და თავიანთ ნაწილში თავისებურად მოეწყოთ ცხოვრება. ეს სურვილი და ოცნება ინგლისის შესანიშნავმა მინისტრმა პიტტმა 1891 წელს სავსებით განუხორციელა მათ, როდესაც Constitution Act-ის ძალით მთელი კანადა ორ ნაწილად გაჰყო: ქვემო, სადაც ფრანგები სახლობდნენ და ზემო სადაც მარტო ინგლისელები სცხოვრობდნენ გარდა ამ გაცალკევებისა იმავე Conctitution Act-ის ძალით კანადის ყველა პროვინციებში ხალხის წარმომადგენლობა იქმნა შემოღებული და მართვა-გამგეობის საქმემ შემდეგი ხასიათი მიიღო: გუბერნატორს მუდამ „აღმასრულებელი საბჭო“ ახლდა თან, რომლის წევრებს მთავრობა თითონ ნიშნავდა. საქმის უფალი და გამგე ნამდვილად მხოლოდ ეს საბჭო იყო და ხალხის წარმომადგენლებს კი მთავრობის მოქმედებისა თუ მოღვაწეობის კრიტიკისა და ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების მეტი არა ეკითხებოდარა საბჭო და სხვადასხვა გადასახადების დაკანონება და შემოღება განუსაზღვრელად მეტროპოლიის მთავრობას ეკითხებოდა. ამრიგად შემოსული თანხების ხარჯვა-მოხმარება კანონის სიტყვით საკანონმდებლო საბჭოს ეკუთვნოდა და ნამდვილად კი მათი გამგე-პატრონი გუბერნატორები და მათი აღმასრულებელი საბჭოები იყვნენ. ზემო კანადის მცხოვრებნი ეს რეჟიმი, რასაკვირველია, არ მოეწონებოდათ—ისინი სულ სხვაგვარ რეჟიმსა და ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი და სხვა წესსა და რიგს ეტრფოდნენ. ქვემო კანადელები კი ძლიერ მოხარულნი იყვნენ, რომ ძლივს ეღირსნენ და მთავრობა თავის განკარგულებისა და საზოგადოთ მმართველების კრიტიკას მშვიდათ უსმენდა მათ. ეს უფლება იქამდის ახალი და გამოუცდელი იყო მათთვის, რომ უკეთესი რეჟიმი თითქმის ვერც კი წარმოედგინათ. მაგრამ ეს კმაყოფილება ხანგრძლივი არ იყო. უკმაყოფილების თესლმა აქაც მალე აიღო თავი. ეს უკმაყოფილება პირველად იმ მიზეზით დაიბადა, რომ „აღმასრულებელ საბჭოს“ წევრებად მუდამ ინგლისელები იყვნენ და ხალხის წარმომადგენელნი კი ფრანგები. ფრანგების წარმომადგენელნი უმეტეს ნაწილად კონსერვატორები იყვნენ და ძალიან ხშირად გუბერნატორის პროგრესულ ზომებს და პროექტებსაც კი ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, 1795 წ. ქვემო კანადის გუბერნატორი ლორდ დორჩესტერი ტყუილად სცდილობდა ფეოდალურ მიწათ-მფლობელობის კანონმდებლობის შეცვლას, ყოველ მის ზომას ფრანგების უმეტესობა თავის წარმომადგენლების პირით დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ეს წარმომადგენელნი ხშირად იქამდის ჯიუტობდნენ, რომ გუბერნატორი და მისი საბჭო იძულებულნი იყვნენ ძალმომრეობისა და უკანონობისთვისაც კი მიემართნათ ხოლმე ხანდისხან. ეს გარემოება, რასაკვირველია, უთანხმოებასა და უნდობლობას ჰბადავდა.

როგორც ვხედავთ, ფრანგების უკმაყოფილებას, ცოტა თუ ბევრად ყურადსაღები მიზეზი სრულიად არა ჰქონდა. 1778 წელს ინგლისის პარლამენტმა ყველა ახალშენის შესახებ ახალი კანონი რომ გამოსცა, მას შემდეგ ხომ ფრანგებს საჩივლელი აღარა ჰქონდათ-რა. ამ კანონით მეტროპოლიის მთავრობამ საჯაროთ გამოაცხადა, რომ ინგლისი თავის ახალშენებში დღეიდან არავითარ გადასახადებს და ბაჟს არ შემოიღებს, თუ კი ეს გადასახადი და ბაჟი თვით გაჭირვებისთვის არ იქნება საჭირო. გარდა ამისა ამ გადასახადებისაგან შემოსული თანხა სავსებით ისევ ახალშენს მოხმარდება და მათი დახარჯვა საკანონმდებლო საბჭოებს დაევალებაო. ეს უკანასკნელი დანაპირები, როგორც ზევითაც გვქონდა ნათქვამი, არ განხორციელდეს, თუმცა 1778 წელს გამოცემული საკანონმდებლო აქტი დღესაც არ არის გაუქმებული.

კერძოთ კანადის შესახებ ინგლისი უფრო შორსაც წავიდა და შემდეგში სხვა ქვეყნების საქონელთან შედარებით კანადიდან გამოტანილ საქონელს უფრო დიდ შეღავათს აძლევდა და უკეთეს პირობებში აყენებდა. ამ პოლიტიკას მაშინაც კი არ უღალატებდა ხოლმე ინგლისი, როცა სხვა ქვეყნებიდან მოტანილი საქონელი კანადისაზე უფრო იაფადაც კი უჯდებოდა. ასე იქცეოდა ინგლისი, მაგ., კანადიდან გამოტანილ ტყის შესახებ.

ყველა ეს ნათლად ახასიათებს ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკას და გვიხსნის იმ საკვირველ მოვლენას, რომ 1812 წელს, ინგლისსა და ჩრდილო ამერიკის შტატების შორის დაწყებულ ომის დროს, ამერიკის ჯარმა კანადაში ნიადაგი ვერ მოიპოვა და იძულებული იყო უკან დაეხია. ამერიკამ [illegible] შეესია თუ არა თავის მხედრობით კანადას, დიდს შესანიშნავი მოწოდება გამოსცა, რომელშიაც კანა-

სუმბათაშვილი მოეკლათ თუქურმიშაში ამა წლის 31 იანვარს ღამე, როდესაც სუმბათაშვილს სძინებია. მკვლელებს სახლიდან სხვა და სხვა ნივთები წაეღოთ. ეჭვი მიუტანიათ ვოლოსოვზე, რომელიც სუმბათაშვილს ემსახურებოდა. ვოლოსოვის მუნდირზე სისხლის წვეთები უნახავთ. ფეხის ადგილში უნახავთ გასისხლიანებული ნაჯახი. ვოლოსოვს თავი დამნაშავედ არ უცვნია. ჩვენება ჩამოართვეს სამს მოწმეს. ამით აზრითაც მკვლელი უნდა იყოს, რომელსაც მკვლელობა გასაძარცვავად ჩაუდენია. განაჩენი გუშინვე გამოაცხადეს. სასამართლომ ვოლოსოვი უდანაშაულო იცნო და სრულიად გაამართლა. განაჩენს საბოლოოდ გამოაცხადებენ 17 აგვისტოს.

◆ როგორც „რუს. სლოვო“ გადმოგვცემს, ოდესაში ადგილობრივ გრადონაჩალნიკის კანცელარიის მოხელეს **ვიღაც თავად წულუკიძეს ხანჯლით დაუჭრია** გეოგრაფიის პროფესორი ივანოვსკი.

◆ **თიანეთიდან** უკვე დაბრუნდა კავკასიის ნამესტნიკის მიერ გაგზავნილი გენერალი სტახოვიჩი.

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის საერობო საქმეთა განყოფილებამ სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას **ის** მასალა, რომელიც **პირველ დაწყებით სკოლებში** სწავლის სისტემის საკითხს შეეხება.

◆ ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელნი აფანასიევი, და ვასილიევი სხვაგან გადაჰყავთ. პიატიგორსკის გიმნაზიის მასწავლებელი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში გადმოჰყავთ. („ნ. ო.“).

◆ პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, დახმარება გაუწიონ სავაჭრო-სამეურნეო აგენტებს მეეტლეთაგან გადასახადის მოკრების დროს.

◆ 16 აგვისტოს ტფილისის საიუნკრო სასწავლებელში დაიწყება „ვოლნოოპრედელიაიშჩთა“ გამოსაცდელი და სასწავლებელში მისაღები ეგზამენები.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 9 აგვისტო. გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით გამართული რჩევა დაწესებული სახელმწიფო სათათბიროს დაკანონებათა შესავსებლად, სექტემბრის დასაწყისში შეუდგება მუშაობას. პირველი საკითხი შეეხება პოლონეთისა, ტურგაისა და ურალის ოლქებისა სტეპნოი კრაისა, თურქესტანისა და კავკასიისა და აგრეთვე მომთაბარე არა რუსთა საარჩევნო უფლებას. ამათი წევრების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 140. სახელმწიფო სათათბიროს დებულების საკითხების გარჩევისა და გაწესრიგების დროს განსაკუთრებული რჩევა განმარტავს სამაზრო, საგუბერნიო და ქალაქების კრებებზე არჩევნების მოხდენის საქმეს. რათა სათათბიროში უფრო კარგად და დაწვრილებით განიხილოს სახელმწიფო და საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვა, ფინანსთა სამინისტროსა, მთავარ სამმართველოსა და სათანადო უწყებებიდან ცალკე აზრი იქნება წარმოდგენილი სავანგებო რჩევაში. პირველი საარჩევნო კრებები და სათათბიროს კანდიდატთა არჩევნები ოქტომბერში მოხდება.—„რუს“-ს გაუგონია, მომავალი ამნისტია შეეხება ძლიერ მცირე რიცხვს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ადმინისტრაციის ხელით დაისჯა და სრულებით არ შეეხება სასამართლოს მიერ დასჯილთ. ბევრს საზოგადო მოღვაწეს, რომელნიც იძულებული გახდნენ საზღვარ გარედ გაქცეულიყვნენ, ნება მიეცემათ შინ დაბრუნებისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა საზოგადო სამუშაოს ორგანიზაცია იმ გუბერნიებში, სადაც მოსავალი ნაკლებია. სამუშაოდ მისცემენ ჭაობის ამოთხრას, გზების გაყვანას, ნაპირების გამაგრებას და სხ. ამ მუშაობისთვის ადგილობრივი ერობა გაიღებს ფულს უვადოდ სესხად.

„ნოვოე ვრემია“-ს გაუგია, სახელმწიფო სამრეწველო გადასახადი არ იქნება შემოღებული პირველ იანვრიდან. პროექტს ადგენენ მხოლოდ თავნზედა და ნათავნზე გადასახადის მომატებისას.

სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ზომები საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობისა საშუალო სასწავლებლებში. განზრახულია შემოიღონ სასკოლო ექიმების თანამდებობანი და დაარსონ სასკოლო-სასანიტარო საბჭოები.

## ორი სურათი ანისში.

### წმიდა ნინო და თამარ მეფე.

ანის ქალაქი ხშირად ხვედრია სამფლობელოდ ქართველთა მეფეებს სომეხ ბაგრატოვანთა მეფობის დაცარიელების შემდეგ (1043). დავით აღმაშენებლის დროიდან კი ქართველების პოლიტიკური მნიშვნელობა აქა, როგორც სხვა მხარეებში, დღითი დღე ზრდილა. თამარ მეფის და მის მემკვიდრეების დროს ანისი თითქმის განუწყვეტლად საქართველოს მფლობელობაში ყოფილა. თვით როგორობა ამ მფლობელობისა ჯერ კიდევ გამოსარკვევი საკითხია. სუფევს სხვა და სხვა გვარი მასალა, რომლის განჩხრეკა, შემოწმება და შეთანხმება განსაკუთრებით შრომას ითხოვს. აქაც სამკალი ბევრია, ოღონდ მომკალთ ვერ ვხედავთ.

პირადს ჩემ დაკვირვებას ჯერ თითონაც ვერ ვცნობ დასაბუთიანებულად და მის გამოქვეყნებას არ ვეშურვი. მხოლოდ ვგონებ კი, რომ ორი დიდი აზრის გამოქვეყნება ანის ქალაქის მცოდნეთაგან აჩქარებულობად არ უნდა ჩამომერთვას. ერთი ისა, რომ ქართველობის მფლობელობას ქალაქის ადგილობრივი შიდა ცხოვრება და მისი სომხური ხასიათი არ შეუცვლია. მეორე ისა, რომ სხვა მხარეთა მსგავსად ქართველი მეფეები ანის ქალაქს მართავდნენ თავისებურად დამოკიდებულ თავადთა მიერ, ხოლო აქ, ანისში, მმართველნი თავადნი, უხანგრძლივეს მმართველ-პატრონნი, ისევ სომხები ყოფილან, ცნობილნი მხარგრძელნი. მიუხედავად ამისა ქართველების ბატონობის დროიდან აქ არა ერთი ნაშთი უნდა იპოვებოდეს, მაგრამ დამარხული ნანგრევთა ბორცვებში, მიწა მიყრილი, როგორც დიდძალი სიძველენი თვით აღრინდელ მკვიდრ მეპატრონეების, ესე იგი სომხების. ასეთ სიძველეთა აღმოჩენა მხოლოდ თხრით შეიძლება. რამდენიმე ნაშთი ქართველთა მფლობელობის ხანისაგან ანის ქალაქში ზედაც დარჩენილა, დედამიწის პირზე. ზოგ მათგანის გარემოება ცოტად თუ ბევრად ცნობილია სამეცნიერო მწერლობაში. სხვათა შორის ცნობილია წმ გრიგოლის, სომეხთა განმანათლებელის, ეკლესიის მხატვრობა, ეგრედ წოდებული „ფრესკო“, ქართულის, ზოგჯერ ბერძნულის და ქართულის წარწერებით. წმ. გრიგოლის ეკლესია ანის ქალაქში ბევრია, წელს თხრამ აღმოაჩინა უდიდესის სივრცით, შესამჩნევის გეგმით ტაძარი სომეხთა მეფის გაგიკ პირველის აშენებული წმ. გრიგოლისვე სახელზე ქრისტეს შობის აქეთ ათასის წლის დამთავრებისათანავე. ხოლო ჩვენთვის საინტერესო, თავისი გარეგან ქანდაკეულის მორთულობით, თან კოპწია გუმბეთით, შიგ ფერადი ნახატებით კეკლუცი ტაძარი წმ. გრიგოლისა განსაკუთრებით ცნობილია სახელწოდებით: „სურათოვანი ეკლესია“ (თათრ. ნახშლი ქილისე, სომხ. ნახშუნ ეკეღეცი) ანუ „ბერძული ეკლესია“ (église grecque). ორივე სახელწოდება, ცოტა არ იყოს, უცოდინარობაზე არის დამყარებული და ეხლა გარეგნივ დასახასიათებლადაც უვარგისი გახლავს. სურათოვნება განსაკუთრებით ამ ეკლესიის დამახასიათებელ კუთვნილებას არ წარმოადგენს.

მხატვრობა ანისის ზოგ სხვა ეკლესიაშიც იპოვება და თან სომხური წარწერით. ოთხმოცდათორმეტ წელში აქ აღმოვაჩინე თხრით პატარა, მაგრამ მშვენიერი, მხატვრობის მქონე ეკლესია, აგრეთვე წმ. გრიგოლის. შესამჩნევია, რომ მხატვრობას ამ ამოთხრილ ეკლესიისა წარწერანი მხოლოდ სომხურ ენაზე ჰქონია (ნაწყვეტები ეხლაც ინახულება ანისის ნორჩ მუზეუმში). ცხადია, მხატვრობა თავისდათავად იმდენად ხელმოსაჭიდი საბუთი არ არის, რომ მის გამოისობით რომელიმე ანისის ეკლესია ბერძნებს მივაკუთვნოთ და არა სომხებს. ამ მხრივ ჩვენდა საინტერესო წმ. გრიგოლის ტაძრის სახელწოდება „ბერძული ეკლესია“ აგრეთვე უსაფუძვლოა. სახელწოდება „ბერძული ეკლესია“ იქნება სხვა გზით გამართლდეს ერთ დღეს, სახელდობრ თუ „ბერძულ“ სიტყვას ვიგულისხმებთ ეკლესიის პატრონთა მორწმუნოების დამახასიათებლად, ესე იგი ქალკედონურ მართლმადიდებლობის აღმნიშვნელად, მაშინ ადვილი გასაგები იქნება არა თუ წმიდა მხატვრობა, რომელიც ყოველ შემთხვევაში ქალკედონურ მართლმადიდებლობას უფრო შეემგვანება და მიეთვისება, ვიდრე სომხურ ეროვნულ ეკლესიას, წინააღმდეგს ძველად ჩვეულებრივ არა თუ მხოლოდ მოქალკედონეთა, თვით ხატებისაც. ადვილი მისახვედრი შეიქნება ის გარემოებაც, რომ ეკლესიაზე იპოვება წარწერები სამ ენაზე: ქართულზე, ბერძნულზე და სომხურზე, რადგან იმ დროს სომეხთა შორისაც იპოვებოდნენ ქალკედონურ მართლ-მადიდებლობის მიმდევარნი. თვით ამავე ეკლესიის აშენების ვრცელი წარწერა სომხური ენით ერთ საგულისხმო სიტყვას შეიცავს, რომელიც აგრე საეჭვოდ წარმოთქმულ აზრს მხარს აძლევს. ტიგრან ჰონენცი, წარწერის ავქსონი, სწერს, რომ ეგ ეკლესია „ხატებით“ შევამკეო. საგულისხმო აქ ის არის რომ ტიგრანი თვით სომხურ დედანში ხმარობს ქართულ სიტყვას „ხატ“. სომხურს საზოგადოდ სურათის და თვით ხატის აღსანიშნავად სიტყვა არ აკლია, და თუ მწერალს ქართული, ჩვეულებრივ ეროვნულ ეკლესიის სომხურში სრულებით უცნობი სიტყვა უხმარია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სახეში ჰქონია ქართულ ეკლესიის, ესე იგი ქალკედონურ მართლმადიდებელ ეკლესიის ხატი, ხოლო ასეთ ხატს ხომ სომეხთა ეროვნული ეკლესია არ იწყნარებდა.

მაგრამ ეს კითხვა მეტად რთულია. აქ მხოლოდ გაკვრით შევეხე მას. *) როგორაც უნდა გამოირკვიოს და გადაწყდეს ეგ საკითხი, ეჭვს გარეშეა, რომ ერთ დროს ქართველები დაპატრონებიან ეკლესიას, ჰგავს თითქმის თვით აშენებისათანავე. ამას უცილობელ ყოფენ როგორც სურათების ქართული წარწერანი, ისე ჯვარისეული ქვა (სომხურად „ხაჩქარ“-ს ეტყვიან), იგიც ქართულის წარწერით, დასავლეთის კედელში ჩადგმული, და ეკლესიაში დასაფლავებულთა სამარხა ქვების ქართული წარწერა. ერთგვარად იმავე აზრს ბანს აძლევს, კიდევაც ასულოვნებს მას ის ორი სურათი, რომლის ამბად შეტყობა მკითხველ საზოგადოებისთვის ამ წერილის საგანს შეადგენს.

ერთი მათგანი უსათუო არის. უწარწეროდაც მხოლოდ ერთი გულისხმიერი შეხედვით კაცი მიხვდება, რომ წმ. ნინოს სურათი უნდა იყოს. ხელნი აღაპყრია ზე, ბაგენი სალამს ან ლოცვას აპირებენ წარმოთქვან. წინ ეგებებიან დედანი. ასომთავრული წარწერა ქართული განმარტებს წმ. ნინოს და დედათა სურათებს უწარწეროდაც ადვილ გასაგებს. ეგ. წმ. ნინოს ძვირფასი სახე, მთელ-ტანოვანი, მეცამეტე საუკუნეში ფერად-ფერად დახატული, თავისდათავად უსასყიდლო განძს წარმოადგენს. სურათი ინახულება მარცხნივ დასავლეთის კარიდან შესვლისას ეკლესიის წინა ნაწილის მარცხენა ფრთის აღმოსავლეთის კედელზე. საინტერესოა თვით ადგილი, რადგან მას წინ მიუძღვის სომეხთა განმანათლებელი გრიგოლის მდიდრად დასურათებული წამება და ცხოვრება. ამ სურათებსაც წმ. გრიგოლის ცხოვრებიდან ქართული ასო-მთავრული წარწერები ჰმარტავენ. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ქვანიც, კედლის ქვანიც, „მასვე“ ღაღადებენ, ესე იგი მჭიდრო დამოკიდებულებას ქართველების და სომხების ძველად მათ კულტურულ წინსვლის სასიქადულო ხანებში. საზოგადოდ ანის ქალაქი ცოცხალი მოწამეა იმ სინამდვილის, რომ კულტურულ მუშაობას ადგილობრივ ძალთა მასში დაუახლოვებია მოწინააღმდეგე ერები, არა თუ ქართველნი და სომეხნი, თვით სპარს-თათრობაც და სომხობა, საერთო წარმატების და განვითარების გზა აღმოუჩენია, განსაცვიფრებელი მოქალაქეობრივი ერთობა შეუქნია. ანისის შესწავლა უტყუარ, თვით ნივთიერს, უხვ საბუთებს გვაძლევს სათქმელად, რომ თუ ადგილობრივ ერთა შორის ბარბაროსული მძულვარება და მტრობა ჩნდება სადმე, ეგ აუცილებელი შედეგია ადგილობრივ შინაგანი კულტურულ მუშაობის შეჩერებისა და გაქარწყლების, ადგილობრივ მცხოვრებთა განგებით გაველურებისა. ეს ერთი ჩვენი სასიქადულო სიძველე, ანისეული სურათი წმ. ნინოსი, ეკუთვნის ქართველთა პოლიტიკურ წარმატებისაც უდიდეს ხანას. მაშინ ქართველთა მეფეები პატრონობდნენ ანის ქალაქს.

სწორედ ქართველების ამ პატრონობის დროს, რაიცა მონგოლების სრულ გაბატონებამდე გაგრძობილა, მაშასადამე მეცამეტე საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედამდე, ისიც ათას ორას თხუთმეტ წლის შემდეგ, როდესაც ეგ წმ. გრიგოლის ეკლესია აუგია ტიგრან ჰონენცს სომხური წარწერის სიტყვით, სწორედ ვიმეორებ, ამ დროს თამარ მეფის სახე, ცოცხლივ ლეგენდა მოსილი, თვით თანამედროვე შემსხმელ-შემამკობელთაგან გაღმერთებული, უკვე ეროვნულ სასიქადულო გმირად, ეროვნულ იდეალის ხორცს შესხმულ პიროვნებად ბრწყინავდა საქართველოს მკვიდრთა გულში. მაშინ ქართველობის მიმდევარ შევნებულ მამულისშვილებს მისი სახელის მიმოფენა, მისი დიდების ქვეყნად განთქმა საერთო სალოცავად მიაჩნდათ. უკიდურესი უვიცობაა, თავის პატივისცემის მონებრივი საზიზღი უარყოფაა, ოდეს ზოგ სხვათა მიხედვით თვით ქართველიც, და არა ერთი ჰფიქრობს, ვითომც ქართველებს იმ ძველ დროს მარტო ყაჩაღურად გაბედული მკლავის ძალა და ხრმლის ოსტატური მოხმარება შესწევდათ და მით იმარჯვებდნენ. ასეთი უსამართლო, ყოველ სინამდვილის მოკლებული აზრი მხოლოდ ისეთ დაცემულ ერში იჩენს ხოლმე თავსა, სადაც თვითშეგნება თავის ცნობისათანავე ხელოვნურად ჩაყრუებულია და შინაგანის სიბნელისაგან ჰკუა-ცნება, მდიდარი ჰკუა-ცნებაც, თვით განვითარებულიც, მაგრამ გარეგნივ, მექანიური წვრთნით განვითარებული, იძულებულია საკუთარ შიდა-თავისუფალ აზროვნობაზე, თავის სულიერ არსებაზე ხელი აიღოს და მთელი თავისი გამჭრიახობა სხვის ნაღეჭავის ღეჭვას მოანდომოს. მეთორმეტე საუკუნეში, თვით მეცამეტის პირველ ნაწილში საქართველოს საკუთარი ცხოვრების გული ძლიერად ძგერდა და ქართველ ეროვნულ იდეალს, მაშინ თამარ მეფის გაღმერთებულ პიროვნებაში განხორციელებულად მიჩნეულს თავდადებით ამსახურებდა არა თუ მარტო მკლავს (საკმარისია, საზოგადოდ მოვიგონოთ მაშინდელი საქართველოს საზღვარი და გავლენა), არა თუ მარტო კალამს (სხვა რომ არა ვთქვათ რა, მოვიხსენებ ჩახრუხაძესთანა შემსხმელს), თურმე მხატვრის ხელოვნებასაც.

გრიგოლ განმანათლებელის იმავე აგრეთ წოდებულს სურათოვან ეკლესიას ანისში მიეკვრის დასავლეთით პორტიკი, სვეტ-კამაროვანი ღია დარბაზი, ახლა ნახევარზე დიდად მეტი ჩამონგრეული. სვეტ-კამაროვანი ღია დარბაზის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან დასავლეთის კედელზე კამარის ზევით დახატულია მშვენიერი ქალი, გვირგვინოსანი, ვგონებ, უეჭველად თამარ მეფე. აქ არა თუ მარტივი სურათი იპოვება მეფე-ქალისა, აქ გახლავს მთელი კომპოზიცია: დასურათებულია ჩახრუხაძის ქებათგან კარგად ცნობილი აზრი, ყოველ არსთა და

---

*) იხ. აგრეთვე ჩემი წერილი „Византійскій Временникъ“-ში (1905): „Аркаунъ, монгольское названіе христіанъ, въ связи съ вопросомъ объ армянахъ—халкедонитахъ.

---

დის მკვიდრ მცხოვრებლებს აღტაცებით უცხადებდა: „თქვენთვისაც დადგა ის ნეტარი დღე, როცა თქვენც შეგიძლიათ მონობის საზიზღარი ბორკილი დაამსხვრიოთ და თავისუფალ ხალხის სახელი მოიპოვოთ!“. ამ მოწოდებას კანადის ფრანგებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან ის უფლებები და უპირატესობანი, რომელნიც ინგლისელებმა ასე ადვილად მიანიჭეს, უწინ საფრანგეთშიაც არ მოპოვებოდათ. ლოიალისტებსა და სხვა ინგლისელებს ხომ სასაცილოდაც არ ეყოთ დიდის რიხით და სიამაყით გამოცემული მოწოდება. უფრო დიდი და ღრმა შთაბეჭდილება კანადელებზე კანადის გუბერნატორის ბროკის მოწოდებამ მოახდინა, რომელიც გულდზე ნაკლები რიხით და რწმენით არ აცხადებდა: „განა მოიპოვება ერთი ადამიანი მაინც კანადაში, რომელსაც მთავრობის უსამართლობა ჰქონდეს გამოცდილი, განა შეუძლიან ვინმეს სთქვას—მე უკანონოდ, უსამართლოდ შემომზღუდეს თავისუფლება და საკუთრება წამართვესო? სხვა ქვეყანაში სად ნახავთ კანადისთანა თავისუფლებას და პროგრესის გზაზე ასეთ წარმატებას?“. შეიძლება ამ სიტყვებში გადამეტებულიც ბევრი რამ იყვეს, მაგრამ სიმართლეც რომ არ ყოფილიყო, მთელი კანადა, როგორც ერთი კაცი ისე არ ადგებოდა და ინგლისის მხედრობას მხარს არ დაუჭერდა, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი ამერიკის რეგულიარულ მხედრობასთან შედარებით ძალიან სუსტიც იყო. 1813 წელს ამერიკელები ერთხელ კიდევ შეესიენ კანადას, მაგრამ ეს ომიც მათივე დამარცხებით გათავდა და მერე ზავის პირობებზე დაპარაკი და საქმე-ბაასიც დაიწყო. ინგლისისა და შეერთებულ შტატების ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კანადისთვის, რადგან ამ ომმა ფრანგები და ინგლისელები ერთხელ კიდევ შეაერთა და ერთმანეთის პატივისცემას თუ ერთად მოქმედებას შეაჩვია.

1815 წლიდან კანადამ უფრო სწრაფად დაიწყო ზრდა და პროგრესის გზაზე უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდა. ხსენებულ წლიდან მოყოლებული 1840 წლამდის, როცა სრული აგიტაცია მოიცვა კანადას, მცხოვრებლების რაოდენობა ნახევარ მილიონიდან მილიონ ნახევრად იქცა; მეცხრამეტე საუკუნეში, სახელდობრ 1837 წელს კანადაში საერთოდ ორმოცდაათი მილიონი მანეთის საქონელი იქნა შემოტანილი და თითქმის ამდენივე გატანილი.

კანადის ბედ-იღბალს როცა ფრანგები განაგებდნენ, აფიცრისა და მოხელეების შვილებიც-კი უსწავლელები რჩებოდნენ და ეხლა კი, ინგლისელების ხელში, მცხოვრებთა ერთი მეოხუთმეტე, ანუ 6½% სასწავლებლებში დაიარებოდა. სახალხო განათლების მხრივ რუსეთი დღესაც ვერ შეედრება კანადას, რადგან ციმბირიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში იგით, ეგრედ წოდებულ, ევროპიულ რუსეთში 4% მეტი არა სწავლობს სასწავლებლებში. ინგლისელების ხელში განხსნა მრავალი საშუალო და სამი უმაღლესი სასწავლებელი. 1815 წლიდან მოყოლებული 1840 წლამდინ კანადაში ორმოცი პერიოდული გამოცემა გამოდიოდა და სხ. ამ დაწინაურების წყალობით ხალხი მოიმჯობინდა, პოლიტიკურად განვითარდა და ასეთი უფლებო-ცხოვრება აღარ აკმაყოფილებდა. ის ფრანგები, რომელთაც საფრანგეთის ხელში თითქმის არავითარი პოლიტიკური უფლება არ ჰქონდათ მინიჭებული, დღეს თავისუფლების მოტრფიალენი შეიქნენ და კონსტიტუციონალურ რეჟიმს თხოულობდნენ.

ხალხსა და მთავრობის შორის ჩამოვარდნილი პირველი უსიამოვნება სახსრით, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საქვეყნო ფულის დახარჯვამ გამოიწვია. თუმცა ახალი ხარჯებისა და ბაჟების შემოღება ხალხის წარმომადგენლებს ეკითხებოდათ, რითაც გუბერნატორი და ადმინისტრაცია, ცოტა არა იყოს ხელში უნდა სჭეროდათ წარმომადგენლებს, მაგრამ რაკი ადმინისტრაცია მხოლოდ გუბერნატორის წინაშე იყო პასუხის მგებელი, ხალხი თავის გავლენას და ძალას ჰკარგავდა და ფაქტიურად გუბერნატორი თითქმის თვითმპყრობელი მეფე გამოდიოდა. გუბერნატორისა და წარმომადგენელთა შორის აძრულ უთანხმოებაში გუბერნატორს ყოველთვის „აღმასრულებელი საბჭო“ უჭერდა მხარს, რადგან წევრების უმეტესობას მუდამ ინგლისელები შეადგენდნენ და გარდა ამისა ყოველი მათგანი გუბერნატორის მიერ იყო არჩეული. ფრანგებისთვის არც ის იყო, რასაკვირველია, სასიამოვნო რომ ადმინისტრატიული ადგილები მუდამ ინგლისელებს ჰქონდათ ხოლმე ხელში ჩაგდებული, მაშინ როდესაც მცხოვრებთა დიდ უმეტესობას ფრანგები შეადგენდნენ. ამ მიზეზებისა გამო მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში კანადის მცხოვრებლებმა პეტიციებს მოუხშირეს, რომლებშიაც მეტროპოლიის მთავრობას ძირითად რეფორმების მოხდენას სთხოვდნენ, მაგრამ მაშინდელ ინგლისში რეაქციონური ელემენტი ძლიერი იყო და ყველა ამ პეტიციას ყურადღებით „სტოვებდა“. ქვემო კანადაში, სადაც მმართველნი მარტო ინგლისელები იყვნენ და ხალხის უმეტესობას-კი ფრანგები შეადგენდნენ, აგიტაციამ სულ სხვა მიმართულება მიიღო, რადგან ხალხმა არა სასურველ წესწყობილებასთან ერთად ინგლისელებიც შეიძულა. ოპოზიციის მოთავე ახალგაზრდა ფრანგი პაპინო იყო. საქმე აქამდის გამწვავდა, რომ 1832 წელს ხალხის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციის შესანახი ხარჯი არ დაამტკიცა და მოხელეებსა და მოსამართლეებს უჯამაგიროთ სამსახური დასჭირდათ. ამნაირ გარემოებაში რამდენიმე წელიწადი იყო საქმე. წარმომადგენელთა პალატა ამას არ დასჯერდა და მეორე წელიწადს, იმავე პაპინოს ზედ გავლენით შესანიშნავი „ადრესი“ შეადგინა, რომელშიაც ინგლისსა და საზოგადოთ ყოველ მონარქიულ სახელმწიფოს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ და კანადისთვის სასურველ წესად ჩრდილოეთ ამერიკის შტატების წესსა სახავდნენ. ღირს შესანიშნავი ამ ადრესში ის იყო, რომ წარმომადგენელთა პალატა ამერიკის რევოლუციას აგონებდა ინგლისს და თითქოს ემუქრებოდა, რომ კანადაშიაც ის გამეორდება, რაც ამერიკის ძველ ახალშენებში მოხდათ. იქაც ხომ „იმატომ მოხდა ამბოხება, რომ ინგლისმა თვითნებობა მოინდომა, ადგილობრივ მცხოვრებლებს უფლებები არ მიანიჭა და საქმე იქამდის მიიყვანა, რომ რევოლუცია აუცილებელი გახდაო.

ამ „ადრესს“ კომისიის დანიშვნა მოჰყვა, რომელმაც ერთი წლის შემდეგ თავისი ანგარიში წარუდგინა კიდევ ინგლისის პალატას და პალატამაც ლორდ როსელის წინადადებით 1834 წელს ქვემო კანადის აღმასრულებელ საბჭოს რეორგანიზაცია გადასწყვიტა. ქვემო კანადის რადიკალურ წრეებს ის არ მოსწონდათ, რომ აღმასრულებელ საბჭოს წევრებს გუბერნატორი თითონ ნიშნავდა. აღმასრულებელ საბჭოს წინააღმდეგი არავინ იყო, ოღონდ არჩევნების ნიადაგზედ ყოფილიყო იგი აგებული. როსელის პროექტი კი ამ მხრივ საქმეს სრულიად უცვლელად სტოვებდა, რადგან ამ რეფორმის შემდეგაც აღმასრულებელ საბჭოს წევრებს ისევ გუბერნატორი ნიშნავდა და არა თვით ხალხი. რაღა თქმა უნდა, რომ ჩახედულ ფრანგებს ეს რეფორმა ვერ დააკმაყოფილებდა და ისედაც განაწყენებულ ცეცხლს უფრო ნავთს დაასხამდა.

ახალი რეფორმა ბევრს ჯერ არც კი გაეცნო რომ პაპინოს გაზეთი, სხვათა შორის, სწერდა: „თავისუფლების მოსაპოვებლად და დასაცველად უძველესი ზომა კანონიერია“... „ჩვენი მძარცველნი შებრალების ღირსნი სრულიადაც არ არიან“... და სხვა. პაპინოსა და იმის გაზეთის მთელმა ევროპამ დაუჭირა მხარი, პრესამ ბუკი და ნაღარა დასცა და ყველამ მასხარათ აიგდო ინგლისი. მასხარათ იგდებდნენ მაშინ, როდესაც მთელ ევროპაში არც ერთი სახელმწიფო არ მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც თავისუფლების მხრივ კანადაზედ მაღლა მდგარიყო.

თუ ასე არეულ-დარეული იყო საქმე ქვემო კანადაში, არც ზემო კანადა იყო დამშვიდებული. იქაც ასევე, როგორც ქვემო კანადაში, საქვეყნო საქმეებს გუბერნატორი, საკანონ-მდებლო საბჭო და ხალხის წარმომადგენელნი განაგებდნენ. საკანონმდებლო საბჭოს წევრებს გუბერნატორი ნიშნავდა. წევრნიც, რასაკვირველია, მის წინაშე იყვნენ პასუხის მგებელნი. ზემო კანადაში, როგორც ზევით ვსთქვით, პირველად ლოიალისტები დასახლდნენ, რომლის წინაშე ინგლისის მთავრობა, ცოტა არ იყოს, თავის თავს მოვალედ სთვლიდა და ამიტომ უფრო ადგილებს იმათ ურიგებდა. ეხლა კი მით უფრო ადვილი იყო მთავრობისთვის, რომ კანონის ძალით სხვადასხვა თანამდებობაზედ სასურველ პირებს თვით გუბერნატორი ნიშნავდა და არჩევნებს მათზედ არავითარი გავლენა არა ჰქონდა.

ოციან და ოცდაათიან წლებში, როცა დემოკრატიულმა პრინციპებმა შესამჩნევად გაიდგეს ფესვი და ხალხში გავრცელდნენ, თვითნებობის ატანა და ერთ რომელიმე ჯგუფის უსაზღვრო ბატონობა ძნელი მოსათმენი იყო, რასაკვირველია. ქვემო კანადელებსავით ზემო კანადის წარმომადგენელთა პალატამაც, 1835 წელს მეტროპოლიის მთავრობას დიდშესანიშნავი პეტიციით მიმართა, რომლითაც, სხვათა შორის, თხოულობდა, მინისტრების პასუხისმგებლობას ხალხის წარმომადგენელთა წინაშე; საკანონმდებლო საბჭოს წევრების ხალხის მიერ არჩევას; თანამდებობის დარიგებაში გუბერნატორის შეზღუდვას და სხვა.

ინგლისი იმ დროს თავის საქმეებში იყო გართული და ამიტომ ვერც ამ პეტიციას მოჰყვა რაიმე შედეგი. როგორც ვიცით, სწორედ იმავე დროს ქვემო კანადაში პაპინოს აგიტაცია იყო გაჩაღებული და რაკი უკმაყოფილონი ზემო კანადაშიაც გამოჩნდნენ, კანადის ორთავე ნაწილის ზოგიერთი წარმომადგენელნი შეუთანხმდნენ და ერთნაირად დაიწყეს მოქმედება; ბოლოს ამბოხებამდინაც მივიდა საქმე, მაგრამ კანადის ორსავე ნაწილში უმეტესობა ამბოხების წინააღმდეგი იყო. ეს უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის მთავრობასთან ლეგალური მოქმედებითაც ბევრს მიაღწევს ადამიანი და ამბოხება საჭირო არ არისო. ამ უმეტესობამ პაპინოს მიერ დაწყებულ რევოლუციონურ მოძრაობის ჩაქრობაშიც კი მიიღო მონაწილეობა და ამ რიგად პაპინოს მოღვაწეობას ბოლო მოეღო. სხვებთან ერთად პაპინოც ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში გაიქცა და იქ შეაფარა თავი. ვინ იყვნენ მართალი—პაპინოს მომხრენი, თუ ამბოხების ჩამქრობი უმეტესობა, ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

ი. პ—ვი.

მხეცთა მორჩილება თამარისადმი და მათგან მისი დიდება. სურათი ხანისაგან და ავდრისა ფერმიხდილია, ზოგან დაზიანებულიც. რამდენიმე საუკუნეა, რომ აწვიმს, ათოვს, და რასაც წვიმა და თოვლი ვერ აგებს, მას ამთავრებს სუსხიანი ზაფხულის მზე და მტვრიანი ქარი. მაგრამ ცოტაოდნად დაკვირვების შემდეგ უმეტეს ნაწილს შინაარსისას კარგად ამჩნევთ. თითქო ტახტზე, ისე, ნამდვილ ამაზონურად, ზის მეფე ძუ ლომზე („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია"). ლომი მიისწრაფის მარცხნისკენ. უკანა ფეხები საშიშ კლანჭებით აქვს ლომს შეიარაღებული. ირგვლივ ქვევით და ზევით თავი მოუყრიათ ოთხ-ფეხ და მფრინველ ცხოველებს. ზოგი მისდევს და მიეტრფის, ზოგი წინ უხვდება ან მიურბის, ყველა მეფის მაქებელ-მადიდებელია. თამარის მარცხნივ: ლომის წინ: 1) ქვევით კრავი, 2) შუა ადგილს, ლომის პირის დაპირდაპირებით, რაღაც ცეცხლის მფრქვევი საგანი თუ ცხოველი, 3) კიდევ ზევით კუდ გაშლილი მფრინველი. ლომის უკან, მეფის მარჯვნივ 1) ქვევით ზღაპრული რამ მხეცი, მოქნილობით თითქო დათვი, ფეხები კაცის ხელთა მსგავსი, ალმა შეტრიალებული გულით, პირი საქებად ღია, პირიდან გასაოცრად მხილველის გაშლილი კაცის ხელი, თითქო რასმე აწოდებს მეფეს, 2) ზევით თეთრი მფრინველი და 3) კიდევ ზევით ვეშაპი, ისიც მეფისაკენ ქებათა მღაღადებელი. თვით მეფე წაბლის ან ოქროსფერი თმითაა და არა შავით. თავისუფლად შემოსილი, უკეთ ვსთქვათ სამოსელ წამოსხმული ისე, რომ სამოსლის ზედა-პირი მარცხენა მხარის ზევიდან იგვრილივ მარჯვენა იღლიას ქვეშ ჩაკეცილია. მშვენიერი ბროლის ყელი და სპეტაკი მარჯვენა მკლავი სრულიად შიშველია. აგრეთვე ღიად ჩანს მუხლი თითქო თაყვანისმცემლების საამბორებლად. მეფეს არავითარი წმინდათა ნიშანი არ აქვს, არ აქვს, რასაკვირველია, ნათელიც. თავს უმშვენებს მოქარგული ან სპეკალებით შემკული გვირგვინი. მარჯვნივ და მარცხნივ გვირგვინზე ჰკიდია ორ-ორი მარგალიტ ასხმული ძივი, იქნება სწორედ ის „მარგალიტი წყობილი", რომელსაც შოთა თავის აწყობილ ლექსებს ადარებს („აქამდი ამბად ნათქვამი აწ მარგალიტი წყობილი"). შიშველ მკლავს მეფისას მშვენიერად უხდება მარტივი სამაჯური. მარცხენა ხელში უჭირავს ჯვარით მოსილი სფერა, ხოლო მარჯვენაში სკიპტრა. მეფის სახე და საზოგადოდ სურათი ახლაც ცოცხალს შთაბეჭდილებას ახდენს. მარცხნივ გვირგვინის დაპირდაპირებით ქართული ასო მთავრული სწერია: „[...] რის ქენა: არის ეს". დასაწყისში „რის" ძალიან მკრთალი და დამახინჯებულიც არის. ვკითხულობ ამ წარწერას აგრე: „თამარის ქებანა (ქებანი ან ქებაა) არს ეს". მთელი სურათი, ცხადია, თამარ მეფის ჩვეულებრივს ძველ მოშაირეთა შორის ქება დიდებას წარმოადგენს.

ამ ზამთარში ვეცდები, წმ. ნინოს და თამარ მეფის სურათი გამოვსცე. ორივე უკვე გადმოვაღებინე შეძლებისამებრ შეუცვლელად ბ-ნ თოროს თორომანიანს, ძალიან გავარჯიშებულ სანისის ხუროთ-მოძღვრებითი სიძველეთ შესწავლაში.

ანისის ნანგრევები
აგვის. 6

**ნ. მარრი.**

# რუსეთის ქრონიკა

**შეტაკება ხალხსა და სალდათებს შორის.** „რაზ."-ი იგებება, რომ ბელოსტოკში 30 ივლისს ქუჩაში შეკრებილ ხალხსა და სალდათებს შორის რაღაც გაუგებრობისა გამო შეტაკება მომხდარა. სალდათები ხალხსა ფანტავდნენ. ერთმა უმაწვილმა კაცმა ამის გამო პროტესტი გამოაცხადა; სალდათმა თოფი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა. ამ ამბის გამო აღელვებულ ხალხის დასამშვიდებლად 2 საათზე მოვიდა 2 რაზმი. უფროსმა დაამწკრია სალდათები, რომ იფეთქა ეზოდან გადმოგდებულმა ყუმბარამ და დასჭრა ოთხი სალდათი, მოჰკლა ერთი დედაკაცი. ათიოდერი უვნებლად გადარჩა. სალდათებმა ასტეხეს სროლა, რის გამოც 40-ზე მეტი დაჭრილ-დახოცილი დარჩა ქუჩაში. ხალხი მეტად აშფოთებულია. ყველა მაღაზია დაკეტილია ქალაქში სიცოცხლე-მოძრაობა შეწყვეტილია. („რ. გ.").

**იოანე კრონშტადტელის თაყვანის მცემელნი.** 30 ივლისს 12 საათზე ი. კრონშტადტელი ეტლით ბასეინის ქუჩით მიდიოდა. დაინახა თუ არა 43 წლის მუშა-კაცმა ივანე პრონინმა, გაექანა მისკენ ხელზე სამთხვევად და ლოცვა-კურთხევის მისაღებად და გაქანებულ ეტლის თვალს მოეჭიდა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და ქვეშ მოჰყვა, ეტლმა ზედ გადაუარა და ისე მძიმედ დაამსგა, რომ 15 წამის შემდეგ სული განუტევა. („რ. გ.").

**ახალი სასულიერო აკადემია.** რუსეთის ოთხი სასულიერო აკადემია,—პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა და ყაზანისა, ვერ აკმაყოფილებს თურმე მთხოვნელთ უმაღლეს სღვთის მეტყველო განათლებით. ამის გამო აზრად მოსვლიათ კიდევ სხვა აკადემიის გახსნან ვილნოსა, ან ნიჟნი-ნოვგოროდში, უფრო-კი პირველში. („რ. გ.").

**ბეჭდვითი საქმის მთავარ-სამმართველოში** აუარებელი თხოვნა შედის თურმე პროვინციალურ გამომცემელთაგან, რომლებიც შუამდგომლობენ ახალ პერიოდულ ყოველ-დღიურ გაზეთების გამოცემის ნებართვას. გამომცემლები თხოულობენ, რომ ეს ახალი გამოცემანი განთავისუფლებულ იქმნან წინასწარ ცენზურისაგან. მაგრამ ხმა მათი რჩება თურმე „ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა". („რ. გ.").

# წერილი რედაქციის მიმართ

## I

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში. ერთი კვირაა, რაც ქალაქ ადესიდან გიახელით ჩემს სამშობლო ქვეყანაში და მამულში ნათესავების სანახავად. სხვათა შორის, თავი შევაფარე სადგურ მიხაილოვში ერთ ნათესავს, ვიყავ აგრეთვე სურამში. ჩემდა სამწუხაროდ, როგორც გავიგე, იქაურ საზოგადოებაში ცუდი ამბავი გავრცელებულა ჩემზე და ყველას ეჭვის თვალით შემოუხედნია ჩემსთვის. მწამებენ, ვითომ ვიყო რომელიმე პარტიის ანუ საზოგადოების ორგული ან მოღალატე ვისამე. ვარწმუნებ ყველას, რომ ასეთ რამეს თავის დღეში არ ვიკადრებ. არა თუ მე თვითონ არ ვიკადრებ ასეთ საქმეს, არამედ ზიზღით შევხედავ ყველა იმას, ვინც ამ გვარ სამარცხვინო საქმეს ჩაიდენს. ტყუილ ცილს მწამებენ და ცოდვას ლებულობენ, არავითარი საბუთი არა აქვთ ჩემის ღალატისა და დანაშაულობისა. ამისათვის ვთხოვ უმორჩილესად ყველას, ვინც ჩემზედ სხვა და სხვა ხმებს ავრცელებს, მაკმარონ და ხელი აიღონ ასეთ ხმების გავრცელებაზე. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ მე ადმინისტრატიულის წესით მდგომარე წლის 19 იანვრიდან გადასახლებული ვიყავ ადესაში ხუთის თვით. ექვსი თვე ვიცხოვრე ადესაში და შემდეგ ნამესტნიკის განკარგულებით გამანთავისუფლეს. მომივიდა ოფიციალური ქაღალდი ამ განთავისუფლების შესახებ და ეს ქაღალდი ეხლა ჯიბეში მიდევს. აი, ბატონებო ამ განთავისუფლებაზედაც-კი სხვა და სხვა ხმები დაუყრიათ საზოგადოებაში. ყველას შეუძლიან გაიგოს ჩემი სიმართლე, თუ მოისურვებს და ნამესტნიკის კანცელარიაში გამოიძიებს საქმეს. ვთხოვ ყველას, ნუ მმარხავენ ცოცხლად და განმათავისუფლონ ჩემდა დაუმსახურებლად გავრცელებულ ჭორისაგან. ვერ წარმომიდგენია, ვისთვის რა საჭიროა ჩემი შერცხვენა და სახელის წახდენა.

**თავადი იასონ ფავლენიშვილი (დვანელი).**

## II

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩვენს ორიოდ სიტყვას: წელს აგვისტოს 6 დღესა ჩვენ სოფ. ლეღვნის მცხოვრებნი: ვეფხვაძენი, შარიკაძენი, მაღრაძენი, ბურჯანაძენი და ცხვედაძენი შევიკრიბენით და დავადგინეთ ერთ ხმად 15 აგვისტოს მარიობის მოსპობა, როგორც გამწვრილებელ-გამღატაკებელი ჩვეულებისა, და მასთან ხუთი თუმანი ჯარიმა დავადევით გადასახდელად სოფლის სასარგებლოდ იმას, ვისაც იმ დღეს მოწვეული ამოუჩნდება ვინმე. საერთო ინტერესების დასაცავად და ჩვენ საკეთილ დღეოდ—დღეიდან მოსპობილი იქნება მარიობა, რასაც ვაცნობებთ ყველას და ვთხოვთ იმ დღეს აღარ გვესტუმრონ.

ს. ლეღვნის მცხოვრებნი: ვეფხვაძენი, შარიკაძენი, მაღრაძენი, ბურჯანაძენი და ცხვედაძენი.

# ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 აგვისტო

**ბერლინი,** 9 აგვისტო. ვიტტემ განუცხადა „ლოკალ-ანცაიგერ"-ის კორესპონდენტს, ტყუილია, ვითომც რუზველტს თავის თავი შეეთავაზებინოს მედიატორეთ. პრეზიდენტმა მხოლოდ თავისი კეთილი სამსახური შესთავაზა შუამდგომლობისთვის. პორტ-სმუტში ის აზრია გამეფებული, რომ კონფერენცია დღეს თუ ხვალ დაიხურება უნაყოფოდ. ტოკიოდან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონიის პრესის სიტყვით, არაა იმედი უთანხმოების მოსარიგებლად, ამიტომ კონფერენციამ უნდა შესწყვიტოს მუშაობა. ომი უნდა გაგრძელდეს.

**სიტიაზა,** 7 აგვისტო. ტაოლიუს სამხრეთით ჩვენს რაზმს პირის-პირი სროლა ჰქონდა ხუნხუზებთან. იაპონიის რაზმი მარცხენა ფრთაზე ჩვენს ცეცხლს ქვეშ მოჰყვა და 15 დაჭრილი დაჰკარგა. მოპეიშანისკენ ხუნხუზების ბრბო გამოჩნდა როგორც ამბობენ, სინმინპუს რაიონში ხოლერაა იაპონელთ შორის და 40—50 კაცი უკვდებათ დღე და ღამეში.

**პორტ-სმუტი,** 10 აგვისტო. ჟურნალისტ ლოუსთან ვიტტეს ნალაპარაკევი გამოქვეყნებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: ვიტტემ ის რწმენა გამოსთქვა, რომ რუსეთი უარს იტყვის კონტრიბუციასა და სახალინის დათმობაზეო. იარაღ-აყრილ გემების გადაცემა და საზღვაო ძალთა განსაზღვრა იმიტომ მოითხოვა იაპონიამ, რომ ნიადაგი ჰქონოდა დათმობისა. „მორნინგ პოსტ"-ის სიტყვით ზავის ხელ-შეკრულობას ახლო მომავალში მოაწერენ ხელს. რუსეთი მცირედს ჯამს გაიღებს ტყვეებისა, ავათმყოფების და დაჭრილების შესანახად ნახარჯის დასაფარავად და სახალინის სამხრეთ ნაწილს დაუთმობს. იაპონია უარს ჰყოფს გემებისთვინ იარაღის აყრასა და რუსეთის საზღვაო ძლიერების განსაზღვრას.

**ხარკოვი,** 10 აგვისტო. გელფერიხის ქარხანაში შეთანხმება მოხდა მუშებთან. მუშაობა ხვალ დაიწყება.

**კრემენჩუგი,** 10 აგვისტო. „იუჟნოე სლოვო"-ს სიტყვით ლიხოვკაში სიარმუკოდ წასული ვაჭრები დასახიჩრებული უკან დაბრუნდნენ. ვაჭარ ბროდსკის მოსჭრეს ორივე ყური. ზოგიერთნი სიკვდილამდე მიუყვანიათ, ლიხოვკაში კაზაკები მოვიდნენ.

**ბელოსტოკი.** ტყუილია ცნობა, ვითომც ბელოსტოკში ებრაელების 40 და ქრისტეანების 10 სახლი დამწვარიყოს.

**ქრისტიანია.** სტორტინგმა დაადგინა მოიპატიჟონ შვეციის სახელმწიფო მოღვაწენი უნიის დარღვევაში დასახმარებლად. სტორტინგმა მოსპო უნიის აქტი და, მიანდო რა ნორვეგიის მთავრობას გამართოს მოლაპარაკება შვეციასთან უნიის დარღვევის საკითხების შესახებ, წინადადება მისცა შვეციას იცნობოს შვეციის მთავრობას ნორვეგიის პლებისციტის ანგარიში.

**ტომსკი,** 10 აგვისტო. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში 16 აგვისტოს დაიწყება ეგზამენები. მიცემულია 315 თხოვნა. ადგილია 300.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 აგვისტო

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალი დუბასოვი, პირადის შუამდგომლობით, დათხოვნილ იქმნა საზღვაო სატეხნიკო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან და გენ.-ადიუტანტად დარჩა

გაზეთების ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროში ამუშავებენ კანონ-პროექტს სხვა და სხვა საზოგადო ჯგუფების უფლებათა შესახებ; ეს უფლებები ეხება კავშირებისა დაარსებასა და სხვა და სხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლად შეკრებას; კანონ-პროექტს განსაკუთრებული ძალა უნდა ჰქონდეს, რადგანაც ბრძანება იყო უკვე 18 თებერვლის უმაღლესის რესკრიპტის გაუქმების შესახებ. კანონ-პროექტის საფუძვლად, განზრახულია, დაუდონ პრუსიის კანონი, რომელიც გამცხადებითს სისტემას შეიცავს. კანონ-პროექტს სექტემბერში შეიტანებენ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად. ნოემბერში-კი, არჩევნების გამოქვეყნებასაც მოელიან. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნები დეკემბერში მოხდება.—რადგანაც ოისტერბეიდან შიფრიანი დეპეშა მოვიდა, ჩრდილოეთ-ამერიკის დესპანი 9 აგვისტოს პეტერგოფს იყო. გრაფ. სოლსკის კომისია გაარჩევს აგრეთვე კავშირების დაარსების უფლებას და სახელმწიფო სათათბიროს წევრების კანდიდატების კამათისა და კრიტიკის თავისუფლებას.

**ნიუ-იორკი,** 9 აგვისტო. სახელმწიფო დეპარტამენტის სეკრეტრის თანაშემწე პირსმა პორტ-სმუტიდან ცნობა მიიღო იმის შესახებ, რა ელაპარაკა გუშინ რუზველტს კონეკომ.

**პორტ-სმუტი,** ამბობენ, ნამდვილი მიზეზი სხდომების გადადებისა იმაშია, რომ ვიტტეს არ უპასუხეს მისს უკანასკნელ შეკითხვაზე პეტერბურგშიო.

**ნიუ-იორკი.** „ნიუ-იორკ-ტაიმს"-მა გამოაქვეყნა ოისტერბეიდან დეპეშა, რომ 9 აგვისტოს გამოაქვეყნებენ იაპონელების დათმობასაო.

**გუნჯულინი.** 7 აგვისტოს სადარაჯო პოსტზე შეტაკება მოხდა. არის რამდენიმე მოკლული და დაჭრილი. გზები გაფუჭებულია და მოძრაობა გაძნელდა.

**პეტერბურგი.** „რუს"ს ატყობინებენ, რომ ვითომც მომავალ წლიდან არყის ვაჭრობას ხაზინა კერძო პირს გადასცემსო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

---

# განცხადებანი

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამ ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/8, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (ვ.)

**ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი.** მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქოევისა. (30—25)

მამა დავითის გორაზე
ფუნიკულერის სადგურის მახლობლად გაიხსნა
ბუფეტი
„განდეგილი"

გურიიდან მოწვეულია თავისუფალი მომუსიკეთა დასი. სასმელ-საჭმელი მზადდება ევროპიული და ქართული. ყველა გემოვნობის საჭმელია, გურული ხარჩო და ღომი ფას დაკლებით. ყველაფერი ხელ-მისაწვდომია. სადილი 1-ლი საათიდან. მუზიკა დაიწყებს დაკვრას 1-ელ საათიდან. სადილი ორი ბლუდი ათი შაური. ან ყავით და ან ჭიქა არყით სამი ბლუდი თხუთმეტი შაური (75 კ.), ოთხი ბლუდი 1 მან. ჭიქა არაყი და ჭიქა ღვინითა. მსურველს შეუძლია მუსიკა მიიწვიოს ყოველსავე შეკვეთილში.

(3 303—1) [illegible]

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ქალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისთვის
უდიდესი ჯილდო
Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას „С.-Петербургъ" წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა,

**საკომერციო კურსები**
**ქალებისა და ვაჟებისათვის**
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

**უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.** (24—21)

**ბუხჰალტერი-სპეციალისტი**
(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებისა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

**მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.**

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

**პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.**

(14—8) **ალ. გ. საათაშვილი.**

**კბილებს**

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვასწორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—29)

**ბებია ქალი**

**სოფიო ილიას ასული ზელბოვიჩ ლოკ**
გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკაიას) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—20)